№ 212
1877—1905
№ 212

ოთხშაბათი, 23 ნოემბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში. № 7.
ხუთშაბათს, 24 ნოემბერს, 1905 წ.
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება:
აბონიმენტის რიცხვში
ვასო ალ. აბაშიძის საბენეფიციოდ
ივანე გომართელის ახალი პიესა
ქოხში
სცენები სოფლის ცხოვრებიდან 5 მოქმედ. და 6 სურათად.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, დ. ივანიძე, მ. მდივანი, ბ. ნებიერიძე, კავთელი, ნ. საფაროვი.
ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, ს. სეიმონიძე, ზ. საფაროვი, კ. ყიფიანი, დ. ჩარკვიანი, ვ. ურუშაძე, ოტყევანოვი, ციციშვილი, ა. ჯაყელი.
წარმოდგენა დაიწყება 8 საათზე
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
შეგირდებისათვის ადგილები 20 კაპ. კონტრამარკა არავის მიეცემა.
მზადდება წარმოსადგენად „ახალი ძალა“ „სულით ობოლნი“, ხალხი“.
რეჟისორი ვალ. გუნია.

შაბათს, 26 ნოემბერს, ვეტცელის თეატრში წაკითხულ იქნება
რეფერატი
ბ-ნ განდილოს მიერ:
I
თანამედროვე საზოგადოებრივი მოძრაობა და პოლიტიკური პარტიები.
II
შალ. გოგელიასაგან.
კრიტიკა დიალექტიკისა და მარქსის ეკონომიურ მონიზმისა.
ბილეთები ისყიდება „ივერიის“ რედაქციაში, გრ. გოგელიასთან.

ტფილისის სახაზინო თეატრი.
ანტრეპრიზა საიმპერატორო თეატრების არტისტის
ლ. დ. დონსკოისა
ოთხშაბათს, 23 ნოემბერს, წარმოდგენილი იქმნება
ტრავიატა.
ოპერა 4 მოქმ. მუს. ვერდისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი დონსკაია გიხენვალდი, ზასლავსკაია, კარპოვა; ბ-ნნი კოლტოვი, კვლახიშვილი, გოლსკი, დემიანენკო, ფილიპოვი და შენი.
დასაწყისი 8 საათ.
კაპელმეისტერი ი. პ. ფალიაშვილი.
მთავარი რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
პარასკევს, 25 ნოემბერს, მეორედ წარმოდგენილი იქნება „ჩერევიჩკი“.

პირველ დეკემბრიდან გამოვა
ყოველ-დღიური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი
„სხივი“
ჩვენი გაზეთი კავკასიის სოც.-დემ. მუშათა ორგანიზაციების ორგანოა.
რევოლუციონურ პროლეტარიატის თავგანწირულმა ბრძოლამ თვითმპყრობელობის კედელი შეანგრია და მთელ რუსეთს სიტყვის თავისუფლება მიანიჭა. ის ახლა სარგებლობს ამ ახალი იარაღით, რომ მით კიდევ უფრო გაამაგროს თავისი პარტია, სოციალ დემოკრატია, და მედგრათ გასწიოს წინ თავის მიზნისაკენ.
გაზ. „სხივი“ წელიწადში ღირს 6 მან., თვეში—50 კაპ., თითო ცალი 3 კაპ.
რედაქციის დროებითი ადრესი: „მოგზაურის“ რედაქცია, ნიკოლოზის ქ. № 44.

ამ წლის დეკემბრიდან გამოვა ყოველ-დღიური სრულ პროგრამიანი
პატარა გაზეთი
თავისუფლება, ერთობა, ძმობა!!
დაბარება შეიძლება: ერთის წლით 3 მან., ექვსის თვით 2 მან. ცალკე ნომერი 2 კაპ.
ქუთაისშიც.—ბეჟანიშვილის მაღაზიაში.
ვინც ამ თავითვე დაიბარებს, დეკემბრის გაზეთი მუქთად დაურიგდებათ.
რედაქტორი პ. მირიანაშვილი.
გამომცემელი კ. მესხი.
ადრესი: Дворцовая, домъ Дворянства, редакція „ПАТАРА ГАЗЕТИ“.

საყმაწვილო ჟურნალი
ნაკადული
სურათებით
წელიწადი მეორე. წელიწადი ითვლება ნოემბრიდან ნოემბრამდე.
ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, წ.-კ. გ. საზოგადოების კანცელარიაში და მარიამ დემურიას ბინაზე—ალექსანდრეს ქუჩა, № 5.
რედაქცია იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილის სახლში, № 8.
დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები სუფთად და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი.
ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა 5 მან. ცალ-ცალკე—სამ სამი მანეთი. ნახევარის წლით: ერთად—2 მან. 50 კაპ, ცალ-ცალკე 1 მან. 50 კაპ. თვეში 50 კ. ცალ-ცალკე ნომერი მცირე წლოვანთათვის—15 კაპ. მოზრდილთათვის 25. წლიურ ხელის მომწერთ შეუძლიანთ თვეში თითო მანათი შემოიტანონ.
შარშანდელი მთელი წლის ნომრები იყიდება სამ მანათად.
პირობებზე მოსალაპარაკებლად რედაქცია ღიაა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ“.
რედაქტორი მარიამ ივანეს ასული დემურიასი.
გამომცემელი თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. ჟორდანიას ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრავატი.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაზი, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
მ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.
ჟ. ფ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, ზაგიანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
ბ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქ. ი. მძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.
საღამოობით:
მ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.
ხ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—7½ საათ.
პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მ. ა. ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.
კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) ხუთხეში ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნის და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

მძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ვაჩნაძე ხფარიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ. კიროჩნის ქუჩა № 91.

ექვთიმე ვაშაკიძე ბავშვების და შინაგან ავადმყოფთ ექიმი—ელიზავეტის და კიროჩნის ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112. ავადმყოფებს იღებს ნაშუადღევის 1—2 ს. და საღამოს 5—7 საათ.

ეროვნულ საკითხის
ახალი განმარტება

ხალხის გამარჯვებას და პოლიტიკურ თავისუფლების მოპოებას თან მოჰყვა, სხვათა შორის, ლეგალურ სოციალ-დემოკრატიულ პრესსის გაჩენა. უკვე რამდენიმე სოციალ-დემოკრატიული პერიოდული გამოცემა გაჩნდა. ამ გამოცემათა შორის პირველი ადგილი უნდა დავუთმოთ პეტერბურგში გამოსულ გაზეთ „ნაჩალოს“. უეჭველია, ეს გაზეთი ხელმძღვანელი იქნება რუსეთის სოციალ დემოკრატიულ პრესისა. ვრცელი სარედაქციო წერილი, რომელიც პირველ ნომერშია დაბეჭდილი, განმარტავს სხვადასხვა კითხვებს და პრინციპებს, რომელზედაც დამყარებულია მუშათა პარტიის მოქმედება.

პროლეტარიატის საერთო ბრძოლის მიზანი და დღევანდელი ტაქტიკა ჩვენთვის ცნობილია, ასე რომ ამას ჩვენ აღარ შევეხებით. საჭიროდ ვრაცხთ აღვნიშნოთ ის ახალი განმარტება, რომელიც ჩვენ ამ გაზეთში ვპოვეთ ეროვნულ საკითხის შესახებ. აქ ვკითხულობთ: „რუსეთის რევოლუციის არეულობას აძლიერებს ბრძოლა ეროვნებათა, რომელნიც თვითმპყრობელობამ განსაკუთრებულ კანონებისა და ნაციონალურ დამონების პოლიტიკის შემწეობით ერთმანეთს გადაამტერა. ეროვნული საკითხი პრაქტიკულად გადასჭრა შვეიცარიაში და ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში დემოკრატიულმა რესპუბლიკამ. ეროვნებათა ამნაირივე თავისუფალი კავშირი უნდა განვახორციელოთ ჩვენ რუსეთშიაც. ჩვენი მიზანია—ყოველ ეროვნებას გავუხსნათ გზა დამოუკიდებელ პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებისათვის, მარა არა ნაკლებ ამისა ჩვენი მიზანია—ყველა ერებში გამოვყოთ პროლეტარიატი სხვა კლასებისაგან და რუსეთის ყველა ერების პროლეტარიატი შევაერთოთ საერთო სოციალ-რევოლუციონურ არმიად. ეს შექმნის მეტად მკიდრო სრულიად რუსეთის კავშირს, ხოლო ეს კავშირი შეიქმნება არა ცალკე ეროვნებათა ნების წინააღმდეგ, არამედ შინაგან კლასობრივ უთანხმოების მეოხებით, რომელიც აუცილებლად არღვევს ერებს კაპიტალისტურ წარმოების ხანაში. ერებს ჩვენ შევაერთებთ არა სახელმწიფო ძალით, არამედ კაპიტალისტურ სახელმწიფოსთან ბრძოლაში“.

აქ ჩვენ ვხედავთ, რომ ეროვნული საკითხი მეტად მკაფიოდაა გამოხატული. ეროვნული კითხვა დღემდის ბურჟუაზიული კითხვა იყო. ბურჟუაზია თავის საპოლიტიკო ასპარეზზე გამოსვლის დღიდანვე ცდილობდა თავისი ინტერესები, თავისი მისწრაფებანი მთელი ხალხის, მთელი ერის ინტერესების სახით გაენაღდებინა. ის უმტკიცებდა თავის ხალხს,—ჩემი ბრძოლა მთელის ეროვნების ბრძოლაა, ჩემი დროშა მთელი ერის დროშაა, და ამიტომ ყველანი ამ დროშის ქვეშ უნდა შემოკრბენო. მაგრამ შეუძლებელი გახდა იმის გადაფუჩეჩება, რაც ცხოვრებაში არსებობდა, შეუძლებელი გახდა იმ წინააღმდეგობის მიჩქმალვა, რომელიც თან დაჰყვა ბურჟუაზიის საპოლიტიკო ასპარეზზე გამოსვლის დღიდანვე. ამ აზრის დასამტკიცებლად საკმარისია გავიხსენოთ ბაბეფის და მის მომხრეთა—„თანასწორთა“ შეთქმულობა. ბაბეფმა და მისმა თანამოაზრეებმა ზედმიწევნით გაითვალისწინეს, რომ საფრანგეთის დიდ რევოლუციას საბოლოოდ ბურჟუაზიის გაბატონება მოჰყვა შედეგად. ისინი თავიდანვე მიხვდნენ, რომ ბურჟუაზიას „ძმობა და თავისუფლება“ ესმის მხოლოდ, როგორც საშუალება თავის გასაძლიერებლად და ხალხის დასამონავებლად. იმათვე შეიგნეს, რომ ასეთ გარემოებასთან საბრძოლველად, ასეთ უთანასწორობის აღმოსაფხვრელად, საჭიროა მშრომელთა ბრძოლა, მშრომელთა „აჯანყება“. რასაკვირველია, მაშინდელ ნამდვილ თანასწორობისათვის მებრძოლთა ტაქტიკა ძლიერ განსხვავდებოდა დღევანდელ პროლეტარიატის ბრძოლის ტაქტიკისაგან. მაგრამ არსებითად ვითარება არ შეცვლილა. ბურჟუაზიამ შეჰქმნა ძლიერი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, რომლითაც ცდილობს დაიცვას თავისი ბატონობა.

მარა რამდენადაც ბურჟუაზია ეკონომიურად ძლიერდებოდა, რამდენადაც მისი სიმდიდრე იზრდებოდა, იმდენადვე საზოგადოებრივი წინააღმდეგობა ვითარდებოდა და, როგორც ამ განვითარების შედეგი, თანდათან ძლიერდებოდა, იზრდებოდა მუშის შეგნება. ხოლო ამ შეგნების შედეგი იყო პროლეტარიატის მიერ აწ არსებულ სახელმწიფო წყობილებისათვის მედგარ ბრძოლის გამოცხადება. და რამდენადაც მრეწველობის გავრცელება საერთო, საქვეყნო საქმედ შეიქმნა, იმდენად მთელ დედამიწაზე კლასობრივი წინააღმდეგობა საერთო მოვლენად გახდა. პირობათა კლასობრივ ერთგვარობას უსათუოდ თან მოსდევს ბრძოლის ერთგვარობაც. ამიტომაც დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ მთელ დედამიწის პროლეტარიატი ერთნაირად იბრძვის, ერთნაირად ემზადება, რომ დაანგრიოს ბურჟუაზიული ბატონობა და განახორციელოს ჭეშმარიტი თანასწორობა. მხოლოდ პროლეტარიატის მტერს, მხოლოდ მუშათა მტერს შეუძლიან მოისურვოს, რომ მებრძოლთა ბანაკში გამოიწვიოს განაწილება, ძალების დაქსაქსვა. საერთო წინააღმდეგობის არსებობა საერთო ბრძოლას მოითხოვს,—ამას ლაპარაკი არ უნდა. ხალხის გულიდან ამოძახილი „ერთობა“ ყველა მებრძოლთა ლოზუნგია.

მარა ამავე დროს არ უნდა გვავიწყდებოდეს ერთი გარემოება. დღევანდელმა სახელმწიფომ, აგებულმა ძალმომრეობაზე, თავის ფარგალში თავი მოუყარა ბევრს ერსა, და რადგან დღევანდელი სახელმწიფო წინააღმდეგია ყოველ თავისუფალ განვითარებისა, ამიტომაც მან დაუწყო დევნა დაჩაგრულ ერებსაც. ეს ფაქტი იმდენად ცხადია, იმდენად საგრძნობელია ეროვნული დევნა დღევანდელ სახელმწიფოში, რომ მისი გვერდის ახვევა, მისი გადაფუჩეჩება ყოვლად შეუძლებელია. პირიქით, რაც უფრო ადრე და გადაჭრით გამოარკვევს ეროვნულ საკითხს მუშათა მებრძოლი პარტია, მით უფრო მოგებული იქნება იგი, ვინაიდან შეუძლებლად გახდის რაიმე განხეთქილების წარმოდგომას.

და, აი, სოციალ დემოკრატიული ორგანო ცდილობს გვიჩვენოს ეროვნულ საკითხის გადაწყვეტის გზა. ის, მაგალითად, ასახელებს შვეიცარიის და ამერიკის შეერთებულ შტატებს. მართლაც, ამ ორ დემოკრატიულ რესპუბლიკაში ეროვნული საკითხი სამუდამოდ გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს,—იმდენად გამორკვეულად, რომ აქ ეროვნული საკითხი არავისთვის საბრძოლველი საგანი არაა, ის გადაწყვეტილია ისე, რომ ყველანი კმაყოფილნი არიან; ეროვნული საკითხი იქ პოლიტიკურ ასპარეზს მოშორდა და ამით, რასაკვირველია, ყოველის მხრივ კლასობრივი ბრძოლა მხოლოდ მოგებულია, მას აღარ აბნელებს არავითარი გარეშე მოვლენა.

სწორედ ამნაირსავე გზას უნდა დაადგეს რუსეთის დემოკრატიაც. ყოველ ეროვნების უფლების აღიარება და ამ უფლების სახელმწიფო კანონების მიერ გამტკიცება—აი, რაა საჭირო ეროვნულ საკითხის გადასაჭრელად. ყოველ ერის პოლიტიკურ უფლებათა აღიარება და ამ უფლებათა მიხედვით ახალ სახელმწიფო წყობილების შექმნა—აი, რა მოსპობს რუსეთის სახელმწიფოში ეროვნულ ბრძოლას და ხელს შეუწყობს მუშა ხალხის—ეროვნების მიუხედავად—საერთო ბრძოლას ბურჟუაზიულ ბატონობის დასაცემად და სოციალიზმის განსახორციელებლად.

მ.

შავი ზღვის ფლოტის აჯანყება

(მნახველის ნაამბობი).

14 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, რუს. საზოგადოების გემზე-„პუშკინ“-ზე ავედი და ბათუმისკენ წამოვედი. იმ დღეს ოდესაში რაღაც ხმები დადიოდა სევასტოპოლში მომხდარ აჯანყების შესახებ, მაგრამ ჩვენ ამას დიდი ყურადღება არ მივაქციეთ და გზა განვაგრძეთ. სევასტოპოლამდის მშვიდობიანად ვიმგზავრეთ, მაგრამ, შევუხვიეთ თუ არა სევასტაპოლის ნავთსადგურისაკენ, კრეისერ „ოჩაკოვ“-იდან გვანიშნეს: „გემი ნავთსადგურის შესავალთან გააჩერეთო“. ჩვენ გემზე ერთი ალიაქოთი და აურზაური ატყდა. ყველა მიხვდა, რომ სევასტოპოლში რაღაც მომხდარა და საქმე ცუდად არის. გემის კაპიტანმა მაშინვე მემანქანეს ბრძანება მისცა, უკან დაიწიეო, მაგრამ ინერციის ძალით გემი ისევ წინ მიიწევდა. კრეისერზე ეგონათ, ვითომ ჩვენ ბრძანების ასრულება არ გვინდოდა და ბრძანება გასცეს: „ზარბაზნები გატენეთ და დაუმიზნეთო“. ეს სიტყვები ყველამ გავიგონეთ და ძალიან შევშინდით. „ოჩაკოვ“-დან მართლა ზარბაზნები დაგვიმიზნეს და ახალი ბრძანება მოგვცეს: „ღუზა ჩაუშვითო“. იმავე წამს ჩვენის გემიდან ორივე ღუზა გადააგდეს ზღვაში და გემი გაჩერდა.

კრეისერიდან ჩვენ გემისკენ ნავი დაიძრა. შეიარაღებულმა მატროსებმა ჩვენი გემის კაპიტანს უბრძანეს, ყველა მგზავრები ახლავე „ოჩაკოვ“-ზე გადმოიყვანეთო. ცოტა ხანის შემდეგ ყველანი ნავებით „ოჩაკოვ“ზე გადაგვიყვანეს. ავედით თუ არა კრეისერზე, მატროსებმა ადმირალის ოთახში მიგვიწვიეს. ყველანი შევედით. ოთახში დაგვხვდა ლეიტენანტი შმიდტი, რომელიც აჯანყებულმა მატროსებმა შავი ზღვის ფლოტის სარდლად დანიშნეს. შმიდტმა მოკლე, მაგრამ ისეთი ძლიერი სიტყვა გვითხრა, რომ ყველას თავიდან ფეხებამდის ჟრუანტელმა გაუარა. „ყველას გეცოდინებათ,—გვითხრა სხვათა შორის შმიდტმა,—რომ რუსეთში რევოლუცია დაიწყო, რომელსაც თან მოაქვს საშინელება და სისხლის ღვრა. ეს აუცილებელი ამბები მხოლოდ მაშინ გათავდება, როცა ბოლომდის მიაღწევს და თავისას გაიტანს თვითონ რევოლუცია. ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ ამ რევოლუციას ვუშველოთ და დავეხმაროთ; ამის გამო ჩვენ ავჯანყდით. თქვენ იმიტომ მოგიწვიეთ ამ გემზე, რომ დაესწროთ და საკუთარ თვალით ნახოთ, როგორ ავაფრიალებთ რევოლუციის წითელ დროშას შავი ზღვის ფლოტზე“.

ერთმა მგზავრმა სთხოვა, გამანთავისუფლეთ და ამ კრეისერიდან ჩვენ გემზე გადასვლის ნება მოგვეცით, თორემ ციხიდან ზარბაზნებს დაგვიშენენო. შმიდტმა მიუგო: აქ უფრო მშვიდობიანად იქნებით, რადგან ციხის უფროსები და გენერლები ტყვედ გვყავან, მეციხოვნე ჯარი კი ჩვენ მხარეზეაო.

ყველანი ბანზე ავედით. აქეთ-იქით აჯანყებული მატროსები იდგნენ. ყველანი სადღესასწაულოდ იყვნენ გამოწყობილი. ზღვის ნაპირი ხალხით იყო გაჭედილი. ჯერ პარაკლისი გადაიხადეს, მერე მძლავრი „მარსელიეზა“ დასძახეს და ამავე დროს რევოლუციის წითელი დროშა ფრიალით ავიდა მაღლა ანძაზე. იმავე წუთს ნაპირიდან ხალხის გრგვინვა მოისმა და იქაც ააფრიალეს რამდენიმე წითელი დროშა. „ოჩაკოვს“ რამდენიმე სამხედრო გემებიც მიჰყვა და იმათაც აუშვეს აჯანყების ბაირაღი. შმიდტი მატროსებს მიუბრუნდა და მოკლე, მაგრამ გრძნობით სავსე და აღფრთოვანებული სიტყვა უთხრა. „მოქალაქენო!—ამბობდა ახალგაზდა სარდალი შავი ზღვის ფლოტისა,—ამიერიდან ჩვენ ერთგულად უნდა ვემსახუროთ რევოლუციის წითელ დროშას და საზღვაო ბაირაღსაც. ჩვენ ვალად გვაძევს რუსეთის ხსნა და გარწმუნებთ, რომ ვიხსნით. ვფიცავთ, რომ ვიხსნით!

— ვფიცავთ! ვფიცავთ!—იგრიალეს მატროსებმა.

ცოტა ხნის შემდეგ შმიდტმა ნაღმოსნები „სვირეპი“, № 270 და № 265 გაგზავნა სამხედრო გემზე „პრუტზე“, სადაც დაპატიმრებული იყო 69 მატროსი, რომელნიც ივნისში „პოტიომკინ“-ზე აჯანყდნენ. ნაღმოსნებმა გაანთავისუფლეს ეს მატროსებიც და ისინიც, ვინც მიტინგებზე მონაწილეობის მიღებისთვის დაპატიმრებული იყვნენ, და ყველანი „ოჩაკოვ“-ზე მოიყვანეს. აქ აუწერელი სცენა მოხდა. განთავისუფლებული მატროსები მოჩვენებას ჰგვანდნენ: ყველანი გამხდრები, ჩამოლეულები და დასუსტებული იყვნენ. ყველანი ახლად მოსულებს ეცით. დაიწყო ხვევნა, კოცნა, მილოცვა, სიხარული, სიცილი და აღტაცება.

შმიდტმა თვითონ დაიარა ყველა გემები და დააპატიმრა მრავალი აფიცერი. მათ შორის ციხის უფროსი და რამდენიმე ბობოლა ბიუროკრატი. ყველა ჯავშნოსანზე მატროსები აღტაცებით ეგებებოდნენ, მაგრამ წითელ დროშის აფრიალებას ვერ ბედავდნენ. შმიდტი დაღონებული დაბრუნდა „ოჩაკოვ“-ზე ცოტა ხნის შემდეგ „ოჩაკოვს“ ხუთი ნავი მოადგა სხვადასხვა გემების დეპუტაციებით. საერთო თათბირის დროს შმიდტი მაღლა ავიდა და დეპუტატებს ცხარე საყვედური გამოუცხადა ღალატისთვის. მერე მეტის მეტ აღელვებისაგან თავი ვეღარ შეიმაგრა და ქვითინი. „პოტემკინ“-ის დეპუტატები შმიდტს დაიწყო მისცვივდნენ, გარს შემოეხვივნენ და არწმუნებდნენ, რომ ისინი მზად არიან მასთან ერთად დაიხოცნონ, ოღონდ წამოდით და ჩვენ გემზე ზოგიერთი აფიცერი დააპატიმრეთო.

მალე „პოტიომკინ“-ზედაც აუშვეს წითელი დროშა და აფიცრებიც დააპატიმრეს. აჯანყებულ გემებს შეუერთდა ორი კონტრ-ნაღმოსანი და ოთხი ნაღმოსანი. ყაზარმებზე და არსენალზედაც წითელი დროშები ააფრიალეს.

— ყველას უთხარით—დაგვავალა მგზავრებს შმიდტმა,—რომ ჩვენ რუსეთის დასახსნელად გამოვედით თუ სხვაგან გაიგეს, რომ ჩვენ მოვდივართ, ნუ შეეშინდებათ და ისე დაგვიხვდნენ, როგორც ამხანაგებს.

მერე ისევ ჩვენ გემზე გადავედით და ქალაქს მივადექით, სევასტოპოლში გასაოცარი წესრიგი იყო. მთელი ქალაქი კაზაკებით იყო სავსე, მაგრამ ყველგან მშვიდობიანობა სუფევდა. ადმირალი ჩუხნინი ჯერ არ დაუპატიმრებიათ. ქალაქს აჯანყებული მატროსები იცავენ. მოქალაქენი მშვიდად არიან და არაფრისა არ ეშინიანთ, რადგან შმიდტი და აჯანყებული მატროსები კაზაკებს კრიჭაში უდგანან. ქუჩებში შემდეგი ბრძანებაა გაკრული: „თუ ვინიცობაა კაზაკებმა მშვიდობიან მოქალაქეებზე ძალა იხმარეს, მე იძულებული ვიქნები უკიდურეს ღონისძიებას მივმართოო“.

შავი ზღვის ფლოტის სარდალი პეტრე შმიდტი“.

ამ მუქარამ შესაფერი გავლენა იქონია კაზაკებზე, რომელნიც მობუზული არიან რადგან მოპირდაპირის ძალას გრძნობენ. შმიდტმა ისიც გამოაცხადა, რომ თუ კაზაკებმა მე დაუყოვნებ-

ეროვნული

ლივ ჩამოვარჩით ტყვე აფიცრებსაო. შმიდტს თანაშემწედ საზღვაო აფიცერი ჩასტნიკი ჰყავს. ორივენი სოციალისტ-რევოლუციონერები არიან.

რკინის გზა დანგრეულია. ჯარი ფეხით მოდის სევასტოპოლში, მაგრამ თანდათან აჯანყებულთა მხარეს გადადის. მეციხოვნე არტილერია რევოლუციონერების ხელშია. როცა „ოჩაკოვი" აჯანყდა, ადმირალმა ჩუხნინმა დანარჩენ გემებს ზარბაზნების კლიტეები წაართვა და არსენალში გაგზავნა, მაგრამ არტილერისტებიც აჯანყდნენ და კლიტეები შმიდტს ჩააბარეს. შმიდტმა გამოაცხადა, თუ სავაჭრო გემები ან ჯარს წამოიყვანენ, ან სამხედრო მასალას წამოიღებენ, ან, საზოგადოდ, მთავრობას რაიმე დახმარებას გაუწევენ ამ გემებს, მაშინვე ჩავძირავ ნაღმებითა და ყუმბარებითაო.

ჩვენ გემიდან ორი სტუდენტი გადავიდა „ოჩაკოვ"-ზე და იქ დარჩნენ. ერთი სომეხია, მეორე ქართველი.

ნაშუადღევის $2^{1}/_{2}$ საათზე სევასტოპოლიდან ბათუმისკენ წამოვედით. ყველა ქალაქებში—იალტაში, ფეოდოსიაში და სხვაგანაც დიდი ჩოჩქოლი და ფაცი-ფუცია. ხალხი მოუთმენლად ელის აჯანყებულ ფლოტს და მზად არის ყველაფრით დახმარება გაუწიოს.

16 ნოემბერს ბათუმში ჩამოვედით. მას შემდეგ აჯანყებულთა შესახებ აღარაფერი გამიგია.

პ. შმიდტის დასახასიათებლად.

შავი ზღვის ფლოტის მატროსების მიერ ფლოტის სარდლად ამორჩეული ლეიტენანტი პეტრე შმიდტი საზღვაო აფიცერია. პოლიტიკურ რწმენით შმიდტი სოციალისტ-რევოლუციონერია, თუმცა პარტიაში არ ირიცხება. უკანასკნელ ხანებში ახალგაზრდა სარდალმა დიდი ნიჭი, გამოცდილება, ცოდნა და მჭევრმეტყველება გამოიჩინა. თუმცა ის ქალაქის საბჭოს ხმოსნად არ იყო, მაგრამ სევასტოპოლის ქალაქს მოურავს არა ერთხელ და ორჯერ მოუწვევია იგი სათათბიროდ და რჩევის მისაცემად. 17 ოქტომბრამდის და შემდეგშიაც შმიდტი ინიციატორი და მეთაური იყო ხოლმე სახალხო მიტინგებისა და კრებებისა. მოკლე ხანში ხალხის დიდი თანაგრძნობა და ყურადღება დაიმსახურა ორატორობის ბრწყინვალე ნიჭით, დაჩაგრულთა და დამცირებულთა გამოსარჩლებით და რევოლუციონურ მიმართულებით.

20 ოქტომბერს შმიდტმა მთავრობის რისხვა დაიმსახურა. ამ დღეს სევასტოპოლში წინა დღით დახოცილ რევოლუციონერებს ასაფლავებდნენ. რამდენიმე ათი ათასი კაცი შეიკრიბა. პოლიცია და ჯარი არსად სჩანდა. სასაფლაოზე ჯერ ქალაქის თავმა მაქსიმოვმა ილაპარაკა, მერე მელნიკოვმა, მერე ტრიბუნაზე სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ლეიტენანტი პ. შმიდტი ავიდა. იმ წამსვე ირგვლივ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

„კუბოსთან მხოლოდ ლოცვა შეიძლება,—დაიწყო შმიდტმა,—მაგრამ დაე, ჩემი სიტყვაც და ფიციც იგივე ლოცვა იყოს. როცა პირველმა გამარჯვებამ ამ განგმირულებს სული და გული აუვსო სიხარულით, მათი პირველი აზრი და მისწრაფება ის იყო, რომ გაენთავისუფლებინათ ისინი, ვინც თავისუფლებისთვის ციხეებში ლპებოდნენ. ისინი მონაწილეობას ვერ იღებდნენ ამ დღესასწაულში, ისინი ვერ ჩაერეოდნენ ამ საერთო ფერხულში და ჩვენთან ერთად გამარჯვების ჰიმნს ვერ დასძახებდნენ. ამათ მოინდომეს მათთან მახარობლად მისვლა, მოინდომეს გამარჯვების მილოცვა და ამისთვის სიკვდილით იქმნენ დასჯილნი. ამათ უნდოდათ დაპატიმრებულ მებრძოლთათვის გადაეცათ ცხოვრების უმაღლესი სიტკბოება-თავისუფლება და ამისთვის მათ დაჰკარგეს საკუთარი თავისუფლება, საკუთარი სიცოცხლე. ეს საშინელი, არაჩვეულებრივი ბოროტ-მოქმედებაა!

მოქალაქენო! დახოცილები ჩვენ, გადარჩენილებს, შემოგვცქერიან და უსიტყვოდ გვეკითხებიან: „როგორ მოიხმართ ამ თავისუფლებას? როგორ მოექცევით ცხოვრების უმაღლეს სიტკბოებას, როგორ მოექცევით იმ თავისუფლებას, რომელიც ჩვენ სამუდამოდ წაგვართვეს? შეგიძლიანთ თუ არა შემოგვფიცოთ, რომ ჩვენ ძალმომრეობის უკანასკნელი მსხვერპლი ვართ?"

ჩვენ მოვალე ვართ დავამშვიდოთ აღშფოთებული სული დახოცილებისა და დავიფიცოთ, რომ ბრძოლით მოპოვებულ თავისუფლებას ბრძოლითვე დავიცავთ! ფიცს ვაძლევთ დახოცილებს, რომ ჩვენ არასდროს და არავის მოპოვებულ თავისუფლებას ერთ გოჯსაც არ დავუთმობთ!

— ვფიცავთ! ვფიცავთ! — იგრიალა პასუხად რამდენიმე ათასმა კაცმა.

შმიდტს ხმა გაუმტკიცდა, აღელდა და აღფრთოვანდა:

„ფიცს ვაძლევთ მათ, რომ მთელ ჩვენს შრომას, ჩვენს სიცოცხლეს და ჩვენს სულსა და გულს მსხვერპლად შევწირავთ თავისუფლებას!

— ვფიცავთ! ვფიცავთ!—ერთხელ კიდევ განიმეორა ხალხმა.

„ფიცს ვაძლევთ მათ, რომ ჩვენ შორის არ იქნება არც ებრაელი, არც სომეხი, არც თათარი და არც პოლონელი; ფიცს ვაძლევთ, რომ ამიერიდან ჩვენ ყველანი ვიქნებით თანასწორი, თავისუფალი ძმები დიდებულ და თავისუფალ რუსეთისა! ფიცს ვაძლევთ, რომ ჩვენ ბოლომდის მივიყვანთ მათ მიერ დაწყებულ საქმეს და მთელ ჩვენ სიცოცხლეს მუშა ხალხის კეთილდღეობას შევწირავთ!"

ხალხის წინაშე იდგა ნამდვილი ტრიბუნი მეჭექარის ხმით, ანთებულ თვალებით, რომლის მსმენელიც მზად არის თავისდა უნებურად თუნდ ჯოჯოხეთში გაჰყვეს.

ორატორმა ლაპარაკი გაათავა. მატროსებმა და სალდათებმა სამხედრო დისციპლინა დაივიწყეს, გარსშემოეხვივნენ მას, ეხვეოდნენ, ჰკოცნიდნენ და ერთი მეორეს აღარ აცლიდნენ.

იმავე საღამოს შმიდტი დააპატიმრეს. ჯარი და ფლოტი აღელდა და შმიდტის განთავისუფლება მოითხოვა. მთავრობამ ძალას დაუთმო და აჯანყებულთ მათი საყვარელი ბელადი დაუთმო. ამის გამო დიდი მიტინგი მოხდა, რომელსაც რამდენიმე ათასი სალდათი და მატროსი დაესწრო. ამ მიტინგზე შმიდტი შავი ზღვის ფლოტის სარდლად აირჩიეს.

ბათუმის ამბები

კაზაკების იერიში „ჩერნ. ვესტნ."-ის რედაქციაზე. „ივერიის" № 11-ში მოხსენებული იყო, რომ „ჩერნომ. ვესტნიკის" რედაქციას კაზაკის აფიცრები ორჯერ მიუხტნენ და მუქარით რედაქტორის ნახვასა ნდომულობდნენ, ხოლო რა ლაპარაკი ჰქონდათ რედაქციაში, ჯერ არ ვიცით. ეხლა ყველაფერი გავიგეთ. საქმე ასე ყოფილა:

კაზაკების აფიცრები წინადაც თხოულობდნენ, რომ გაზეთმა კაზაკების წინააღმდეგ სრულიად ხმა არ ამოიღოს, რაც უნდა ჩაიდინონო. რედაქცია ამისთანა კადნიერ მოთხოვნილებას არ ასრულებდა, მეტადრე 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ. ბოლოს აფიცრები მეტად გააცეცხლა თურმე ერთმა წერილმა—„კაზაკის გოდება", რომელიც „ივერიაშიაც" იყო გადმობეჭდილი. მკითხველს ეხსომება, რომ კაზაკი თავის ყოფა-ცხოვრებას უჩიოდა და, სხვათა შორის, ამბობდა, რომ კანონით კუთვნილ სურსათ-სანოვაგესაც კი არ გვაძლევენო. 17 ნოემბერს ხუთი აფიცერი (ლაბის პოლკისა) რედაქციაში შეიჭრა და რედაქტორი მოითხოვა, რომელიც იქ არ დახვდათ. რედაქციის მდივანმა ბ-ნმა დავიდოვმა სთხოვა აფიცრებს, ეცნობებინათ იმისთვის, რა საქმე ჰქონდათ რედაქტორთან,—იქნება მეც შევიძლო დაკმაყოფილებაო. აფიცრებმა გადაჭრით გამოუცხადეს, ორ საათზე მოვალთ და რედაქტორი უთუოდ აქ დაგვიხვდეს, თუნდ ქვესკნელიდან ამოათრიეთო. აფიცრები ლანძღვა-გინებითა და მუქარით წავიდნენ.

ეს ამბავი სწრაფად თითქმის მთელ ქალაქს მოედო. დაფაცურდნენ პრესსის თავისუფლების მომხრენი, რედაქციასთან შეგროვდნენ. სხვადასხვა პარტიის ორგანიზაციებმა შეიარაღებული რაზმები გამოგზავნეს. აცნობეს გუბერნატორს, კომენდანტს, კაზაკების პოლკის კომანდირს, პროკურორს. რედაქციამ აცნობა გუბერნატორს, თუ რომ აფიცრები ძალმომრეობას არ მოერიდებიან, ცუდი ამბები მოხდებაო. ადმინისტრაცია მოელაპარაკა პოლკის უფროსს, რომელიც ირწმუნებოდა, აფიცრებს მხოლოდ მოლაპარაკება უნდათ და ზოგიერთა გარემოების გამორკვევაო, თუ რომ რედაქტორი თავდაჭერით მოეპყრო, არაფერი მოხდება. თვით აფიცრები რომ გაკადნიერდნენო?—ჰკითხეს ადმინისტრაციას და, რასაკვირველია, დამამშვიდებელი პასუხი ვერ მიიღეს.

ორ საათზე, ხუთის მაგივრად, სამი აფიცერი მივიდა. რედაქციის კიბესა და დერეფანში აპარელები იყვნენ აქეთ-იქით გამწკრივებულნი, თოფებით ხელში, სალდათურად. აფიცრებმა იკითხეს, ეს რა ამბავია, საავკაცოდ ხომ არ მოვსულვართო. რედაქციის მდივანმა უთხრა, რაკი ეგრე, ყველას გავისტუმრებ, რომ უფრო დაწყნარებით შეგვეძლოს მოლაპარაკებაო, და, მართლაც, ყველანი ჩამოაშორა. რედაქტორი ჯერ არ მოსულიყო. აფიცრები მდივანთან მოლაპარაკებას დათანხმდნენ და თავაზიანი საუბარი გამართეს. იმათ მოითხოვეს „კაზაკის გოდების" ავტორი დაესახელებინა რედაქციას და თვით წერილიც გადაეცა მათთვის. მდივანმა უარი უთხრა, მაგისთანა უკადრის საქმეს რედაქცია ვერ ჩაიდენსო. საუბარი საათ-ნახევარს გაგრძელდა, აფიცრები კი წასვლას არ აპირობდნენ. გარედ ხალხი აღელდა, არ იცოდა, რა ამბავი იყო რედაქციაში. ქალაქის ადმინისტრაციაც თურმე აშფოთდა. სხვადასხვა მითქმა-მოთქმა გაიმართა. ზოგი ამბობდა, რედაქცია აიკლესო, ზოგი კი—აფიცრები დაუხოციათ და ფანჯრებიდან გადუყრიათო. ტელეფონის ზარმა დაიწკარუნა. ვიღაც აფიცრებს იწვევდა. ერთი აფიცერთაგანი შევიდა ტელეფონის ოთახში, კარი მიიხურა და ვიღასაც დაელაპარაკა. მას შემდეგაც აფიცრები წასვლას არა ფიქრობდნენ.

ერთბაშად ქუჩაში ხმაურობა ასტყდა. გამოჩნდა კაზაკთა რაზმი. მშიშარა მაყურებლები გაიფანტნენ, მაგრამ ბევრმა ადგილიდან ფეხი არ მოიცვალა. კაზაკები რედაქციის წინ გამწკრივდნენ და თოფები საბრძოლველად მოიმართეს. ხუთი მათგანი რედაქციაში შევიდა. აფიცრებს სახე გაუბრწყინდათ.

— ეს რა ამბავიაო?—უთხრა აფიცრებს რედაქციის მდივანმა,—მე ჩამოგაშორეთ შეიარაღებული დარაჯი და თქვენ კაზაკები რად მოგყავთო?

— არა, ეს რაღაც გაუგებრობაა, ჩვენც ჩამოგაცლითო,—სთქვეს აფიცრებმა და წასასვლელად გამოემშვიდობნენ. მიდიოდნენ, აქეთ-იქით იყურებოდნენ და ხალხს ზრდილობიანად ეუბნებოდნენ: რად მოგროვილხართ, ჩვენ საჩხუბრად კი არ მოვსულვართო, ეს კაზაკებიც რად მოსულან, არ ვიცით, ჩვენ არ გამოგვიწვევიაო.

ამას შემდეგ რედაქციას მრავალი მოქალაქე ეწვია და მშვიდობით გადარჩენას ულოცავდა.

მას შემდეგ აფიცრებმა სამი მოთხოვნილება განუცხადეს რედაქციას ბათომის ციხის შტაბის უფროსის პოლკოვნიკ მდივნის პირით: 1) გადასცეს დედანი წერილისა „კაზაკთა გოდება", რომ თვით აფიცრებმა მოსძებნონ ავტორი; 2) რედაქტორმა ბოდიშის წერილი დაბეჭდოს გაზეთში იმ სიტყვებით და სახით (პირველ გვერდზე, მსხვილ ასოებით), როგორც აფიცრები მოისურვებენ, და 3) ბოდიში მოიხადოს აგრეთვე კაზაკთა რაზმის წინაშე. რედაქციამ არც ერთ მუხლის დაკმაყოფილება არ ინდომა, ხოლო აღუთქვა აფიცრებს, თუ რომ დასაბუთებულ წერილს გამოუგზავნიდნენ, უცვლელად დაბეჭდა. მაგრამ ამაზე ვერ შეთანხმდნენ. მოლაპარაკება იყო პოლკოვნიკ მდივნის შუამავლობით. ამ დროს რედაქტორ-გამომცემელს გაზეთის საქმეებისა გამო ტფილისში წამოსვლა მოუხდა და მოლაპარაკების დამთავრება რედაქციის მდივანს მიანდო.

საქმე უფრო გამწვავებულა. აფიცრები თავის მოთხოვნილებას მტკიცედ ადგნენ და იმუქრებოდნენ, რომ რედაქციას აიკლებდნენ, თუ უკანასკნელ მოთხოვნილების შემდეგ საბოდიშო წერილი გაზეთის პირველსავე ნომერში არ დაიბეჭდებოდა, ეს ამბავი, რასაკვირველია შეიტყეს პარტიებმა და წარსულ კვირას ამის გამო საერთო მიტინგი გამართეს. მიტინგმა დაადგინა, გაზეთი გამოვიდეს და არავითარი საბოდიშო წერილი არ დაიბეჭდოს. თუ რომ კაზაკები, მართლა, ძალმომრეობას იხმარებენ, მუშათა პარტიები გასცემენ პასუხს.

კაზაკების აფიცრებს შეუკრებიათ თავისი რაზმები და დროშაზე დაუფიცებინებიათ, რომ ყოველი მათგანი ეცდება აღმოაჩინოს ის მუხანათი, რომელმაც რედაქციას ზემოდ აღნიშნული წერილი გაუგზავნა და „კაზაკთა პატიოსნება" შეილახა. აფიცრები ამბობენ, კაზაკებიც ძალიან გაალმახებულნი არიან და მათგან ყველაფერი მოსალოდნელიაო. მუშათა პარტია კი შეუპოვრად ემზადება საბრძოლველად. მცირე ნაპერწკალი საკმარისია თურმე, რომ მთელი ბათუმი საშინელ ბრძოლის ველად გადაიქცეს. დარწმუნებულნი არიან, თუ რომ კაზაკებმა ძალას მიჰმართეს, ბათუმის ჯარის კაცების მომეტებული ნაწილი მუშა-ხალხს მიემხრობაო.

მღელვარება ჯარში თანდათან ცხოველდება. ჯარის უფროსებს სალდათები ვეღარ შეუკავებიათ. კომენდანტმა გაუგო, რომ სალდათები კვირას მიტინგის გამართვას აპირობდნენ, და უნდოდა ხელი შეეშალა. შეაგროვა სალდათები და „მამაშვილურად" დარიგება დაუწყო, ჯარს მაგისთანა რამ არ შეშვენისო. სიტყვა რომ დაასრულა, ჰკითხა, გაიგეთ, რაც გითხარით, ხვალ მიტინგს აღარ გამართავთო? სალდათებმა ხმა გაიკმინდეს და მისი აღმატებულება ერთი სიტყვითაც არ დაამშვიდეს. მეორე დღე დილიდანვე სალდათებს მოულაპარაკეს, არაყი დაუდგეს და მრავალ წყალობას დაჰპირდნენ. მიტინგი არ შესდგა. მთელ დღეს [illegible]ლაქში მთვრალი სალდათები დაყიალებდნენ[illegible] ციხის უფროსს ნამესტნიკისაგან ბრძანება მი[illegible]ლია, სალდათებს მიტინგი არ გაამართვინოს და, თუ ისინი მაინც არ დაიშლიან, იარაღი იხმაროს მათ წინააღმდეგ.

„ჩერნ. ვესტნიკის" 177 ნომერში ერთი სალდათის წერილია დაბეჭდილი, რომელშიაც ის თავის უფროსებს მკაცრად იხსენიებს. წერილი რომ მიუტანიათ დასაბეჭდად, რედაქციაში უკითხავთ, არ გერიდება, შენი სახელი რომ გამოვაცხადოთო.—რისა უნდა მერიდებოდესო,—უთქვამს სალდათს,—ვინ რას დამაკლებს, დახვრეტაც რომ გადამიწყვიტონ, ჩემი დამხვრეტი არავინ არის, სალდათი სალდათზე ხელს არ გამოიღებსო.

შავი ზღვის ესკადრას მოელიან ბათუმში, შმიდტის ადმირალობით. ხალხი დარწმუნებულია, რომ გამოჩნდება თუ არა ესკადრა, სალდათები აჯანყდებიან, ციხეს დაიჭერენ და ესკადრასთან ერთად იმოქმედებენ. ხმა გავრცელდა, ვითომც შმიდტს გონება შერყევია იმის გამო, რომ ორი კრეისერი დაუღუპეს, მეზღვაურებით სავსე. მაგრამ ამ ხმის გავრცელებას მთავრობის მომხრეებს აბრალებენ. არავითარი ნამდვილი ცნობა სევასტოპოლიდან აღარ მოდის.

მიტინგები და რეფერატები ტფილისში

ს. დ. მ. პარტიის „მეუმცირესეთა" მიტინგი

კვირას, 20 ნოემბერს და ორშაბათს, 21 ნოემბერს, ტფილისის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის „მეუმცირესეთა" ფრაქციამ ნაძალადევში მიტინგები გამართა. პირველ დღეს განხილულ იქმნა საგანი განჯაში დაწყებულ სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის შესახებ. ორატორები შეეხნენ მთავრობის საზოგადო პოლიტიკას და აღიარეს, რომ ხსენებული ხოცვა-ჟლეტა ნაყოფია პოლიციის პროვოკაციისაო და შესაფერი რეზოლიუციაც იქმნა გამოტანილი.

ორშაბათის მიტინგზე საქმის ვითარება უფრო ნათლად გამოირკვა, რადგან ორგანიზაციას ხელში ჰქონდა რამდენიმე საბუთი იმისი, რომ განჯის ხოცვა-ჟლეტა მთავრობამ მოაწყო. ორგანიზაციის მიერ განჯაში საგანგებოდ გაგზავნილ დელეგატების სიტყვით, როდესაც რომელსამე ადგილში ხოცვა-ჟლეტა იწყება, აფიცრები ჯარის კაცებს ბრძანებას აძლევენ, რომ ხოცვა-ჟლეტის ველს მოშორდნენ და საზოგადოდ არავითარი მონაწილეობა არ მიიღონ ამ საშინელ ამბების მოსასპობლად. განჯაში დაწყებული ხოცვა-ჟლეტა სრულიადაც არ არის შედეგი სომეხთა და თათართა ეროვნულ განხეთქილებისა. იგი ხელოვნურად მოწყობილიაო.

ერთმა ორატორმა, რომელიც განჯიდან გუშინ-წინ ჩამოსულა, ილაპარაკა: დანამდვილებით გავიგე, რომ მთავრობამ მაუზერის თოფები გამოიწერა და თათრებს დაურიგაო. თუმცა, საომარ დროის წესების ძალით, განჯაში იარაღის ტარების ნება არავისა აქვს, მაინც ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით იარაღში ჩასხმულ თათრებს, რომელნიც ქუჩაზე სრულიად არხეინად დადიანო. ამ საშინელის ამბების თავიდან აცილება შესაძლებელი იყო ათიოდე ჯარის კაცის დახმარებით, მაგრამ გენერალ-გუბერნატორი ამას საჭიროდ არა სთვლისო.

მიტინგმა დაადგინა, მოითხოვოს მთავრობისაგან ამ არა-ადამიანურ პროვოკაციის მოსპობა და სამის დღის განმავლობაში გენერალ-გუბერნატორის დათხოვნა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ორგანიზაცია მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებს ყველა მცხოვრებლებს და ყველა იმ ღონისძიებას სავსებით იხმარს, რომელიც კი მის ხელთ არის.

ამის შემდეგ ორატორებმა მიტინგზე დამსწრეებს გადასცეს ჯარის კაცთა შორის დაწყებულ მოძრაობის ამბები. ეს მოძრაობა—სთქვეს ორატორებმა—არ არის სტიქიურად დაწყებული, იგი შედეგია ჯარის კაცთა შორის სინათლის სხივის შესვლისა და მოწმობს იმას, რომ თვითმპყრობელობას ეცლება ის ყავარჯენი, რომელსაც გაჭირვების დროს ეყრდნობოდაო.

მიტინგზე ილაპარაკეს ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცულ მოხელეთა შესახებ, რომელთა მოთხოვნილებათა სრული კანონიერება ორატორთა მიერ დადასტურებულ იქმნა. ილაპარაკა ორმა გაფიცულ მოხელეთა წარმომადგენლის სახელით; მათ მშვენივრად დაასურათეს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა მდგომარეობა. მიღებულ იქმნა შესაფერი რეზოლიუცია.

ს.-დ. პარტიის „მეუმცირესეთა" რეფერატი.

შაბათს, 19 ნოემბერს, ტფილისის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის „მეუმცირესეთა" ფრაქციამ სამეურნეო საზოგადოების დარბაზში ხალხი მოიწვია, სადაც „მეუმცირესეთა" წარმომადგენელმა რეფერატი წაიკითხა: „სახელმწიფო სათათბირო და სოციალ-დემოკრატების ტაქტიკა". უმთავრესი აზრი რეფერატისა ასეთი იყო:

სახელმწიფო სათათბირო ბურჟუაზიული დაწესებულებაა, ის არ აკმაყოფილებს არც ერთს სოციალისტურ ორგანიზაციას, მაგრამ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის „მეუმცირესეთა" ფრაქცია საჭიროდ სთვლის სახელმწიფო სათათბიროში თავისი წარმომადგენელი გაგზავნოს, რათა ამ დაწესებულებას შიგნიდან საძირკველი გამოუთხაროს და ნიადაგი მოუმზადოს დამფუძნებელ კრებას. დღეს შეუძლებელია, რომ ხალხმა სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტი გამოუცხადოს, როგორც ჰფიქრობენ ს.-დ. პარტიის „მეუმრავლესეთა" ფრაქცია და სოციალისტ-რევოლუციონერები, და შეიარაღებულ აჯანყებით დამფუძნებელი კრება მოიწვიონ. უკვე ცნობილია, რომ, როდესაც შეიარაღებული პროლეტარიატი იარაღით გადის თავისი მიზნის განსახორციელებლად, საჭიროა, რომ მას ხალხის უმრავლესობა თანამგრძნობი ჰყავდეს და მას ფეხდაფეხ მისდევდეს, დღეს კი საქმე ასე არ არის, ვინაიდან მომზადებულია მხოლოდ პროლეტარიატი, ხოლო ხულიგანები, ბურჟუა-ლიბერალები, რომელნიც სახელმწიფო სათათბიროთი კმაყოფილნი არიან, და მიძინებული გლეხკაცობა, ეს მთავარი ძალა რევოლუციის სასურველად დაგვირგვინებისა, პროლეტარიატს არ თანაუგრძნობენ და თვალსაჩინოდ ხელს შეუშლიან შეიარაღებულ აჯანყებას.

რეფერენტის წინააღმდეგ ილაპარაკეს „მეუმრავლესეებმა".

რეფერანტის მოსაზრებანი, მათის აზრით, შემცდარია. სახელმწიფო სათათბიროში შესვლით ორგანიზაცია დაიქსაქსება და ვერავითარ ნაყოფს ვერ მოიტანს, ვინაიდან მათი რაღაც ოცი წარმომადგენელი ბურჟუა ლიბერალთა 500—600 წარმომადგენელს თავის აზრს ვერ მიაღებინებს. პროლეტარიატის მიზანია—დამფუძნებელი კრება და იგი მხოლოდ რევოლუციონურის გზით უნდა მოიპოვოს. რომ ეს ახლა შესაძლებელია, ამას ამტკიცებს განაპირა ქვეყნების მომზადება, რუსეთის შიდა გუბერნიაში დაწყებული აგრარული მოძრაობა გლეხებისა და ჯარის კაცთა შორის ატეხილი უკმაყოფილება. ამას გარდა, პროლეტარიატი გარეშე ძალებს ერთობ არ უნდა დაეყრდნოს. რუსეთის სოციალ-დემოკრატების მამათ-მთავარი პლეხანოვი მეტსაც ამბობს: „პროლეტარიატი თუ მიიღებს რასმე, მხოლოდ თავის ხელით"-ო.

რეფერენტის წინააღმდეგ ლაპარაკი დაიწყო სოციალისტ-რევოლუციონერმაც, მაგრამ დარბაზში ატეხილმა ყვირილმა „ძირს" იძულებული გახადა სიტყვა არ დაემთავრებინა.

საზოგადოდ, როდესაც „მეუმცირესეთა" წინააღმდეგ „მეუმრავლესენი" ლაპარაკობდნენ, დარბაზში დაუსრულებელი ყვირილი ატყდებოდა ხოლმე.

სალდათის სიტყვა

სალდათების მიტინგზე ბათუმში, 14 ნოემბერს, მეციხოვნეთა ჯარის ერთმა სალდათმა—ალექსაშინმა—შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა:

„ძმებო სალდათებო! ყველას მოეხსენება, რომ ჩვენ აქ შევიკრიბენით საერთო საჭიროების გამოსარკვევად, შევიკრიბენით მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მამა—კომანდირები მრისხანედ გვიკრძალავენ. ამ გზობით აღარ შევუშინდით იმ სასტიკ მუქარას, რომლითაც ესე უხვად გვაჯილდოვებენ ჩვენი უფროსები „უკანონო" კრების გამართვისათვის, რაიცა სამხედრო დებულებით ვითომც აკრძალულია. ჩვენც კარგად ვიცით, რომ დებულება შეკრების ნებას არ გვაძლევს, მაგრამ ისიც კარგად გაგვეგება, რომ 17 ოქტომბერს გამოცხადებულ უმაღლესის მანიფესტით რუსეთის ყველა მოქალაქეს მიენიჭა სიტყვისა, კრებისა და კავშირების თავისუფლება.

ამხანაგებო სალდათებო! ჩვენ ხალხის შვილნი ვართ და ჩვენ ნაცრისფერ მაზარის ქვეშ გვიძგერს პატიოსანი გული რუს-სალდათისა, რუს-მოქალაქისა. ამიტომ დღეს ჩვენ უფლებით გათანაბრებული ვართ სხვა მოქალაქეებთან და ჩვენც შეგვიძლიან ვისარგებლოთ იმ სიკეთით, რომელიც უმაღლესის მანიფესტით საერთოდ ყველას მოგვენიჭა.

ამ წამს ჩვენი დელეგატები გავუგზავნეთ ციხის უფროსს და მის აღმატებულებას ვაუწყეთ ჩვენი მოთხოვნილებანი მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულ იქმნება,—ხოლო ვიდრე დელეგატები დაბრუნდებიან და პასუხს მოგვიტანენ, ორიოდე სიტყვა მათქმევინეთ გმირ-მატროსების შესახებ, რომლებიც კრონშტადტში არიან.

ვგონებ, ყველას მოგეხსენებათ, რომ კრონშტადტში მატროსები აჯანყდნენ. მე თქვენ გეკითხებით, ამხანაგებო, რამ აიძულა იგინი, რამ გააბედვინა ურჩობა? მათი აჯანყება იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ ისინი არა ერთხელ ეხვეწებოდნენ თავის უფროსებს აუტანელი ყოფა-ცხოვრება გაეუმჯობესებინათ, მაგრამ უფროსები ყურს იყრუებდნენ და არას ისმენდნენ, სამართლიან მოთხოვნას არ აკმაყოფილებდნენ. ამისამად მრავალი მათგანი დაპატიმრებულია ციხე-კაზმატებში; ყველანი იმედოვნებენ, რომ ხალხი გამოექომაგება და სასჯელისაგან იხსნის. და მათი იმედი ამაო არ არის. ხალხი თხოულობს მათ განთავისუფლებას—ჩვენ შეგვიძლიან გაზეთებიდან გავიგოთ ხალხის სურვილი: მატროსებს თავისუფლება მიენიჭოს! გაუმარჯოს გმირ-მატროსებს!

ამხანაგებო-სალდათებო! ხალხის ხმას ჩვენც შევუერთდეთ. ხმა ერისა—ხმა ღვთისაო. ჩვენც პროტესტი გამოვაცხადოთ პატიოსან გაზეთებში მატროსების დასჯის წინააღმდეგ. მთელ ხალხთან ერთად ჩვენც ხმა ამოვიღოთ. თავისუფლება გმირ მატროსებს! გაუმარჯოთ თავისუფლებისათვის მებრძოლთ! მართალს არ ვამბობ, ამხანაგებო? თანახმანი ხართ?

(მთელმა კრებამ ერთხმად დაიგრიალა: გეთანხმებით! გეთანხმებით!).

შემდეგ, ამხანაგებო, თქვენი ყურადღება მინდა მივაქციო დიდად პატივცემულ „ჩერნომორსკი ვესტნიკის" გუშინდელ ნომერში დაბეჭდილ სტატიას: „საზღვარი უწესოების მოსპობისათვის". ამ წერილში ნათქვამია, რომ, მის უდიდებულესობის ნამესტნიკის შუამავლობით, ბ-ნი აფიცრები დასაჯილდოვებლად არიან წარდგენილნი. ცოლშვილიანი ბბ. აფიცრები ოთხის თვის ჯამაგირის ოდენა ჯილდოს მიიღებენ, ხოლო უცოლშვილო—ორის თვისას.

მე თქვენ გეკითხებით, ამხანაგებო, ბ-ნ აფიცრებს აქვთ უფლება მიიღონ ესეთი ჯილდო, თუ არა? არა, ამხანაგებო, იმათ არა აქვთ უფლება მიიღონ ჯილდო ხალხის გაჟლეტისათვის,—მოუმზადებელ და უიარაღო ხალხისა, რომელშიაც იყვნენ ჩვენი ძმები, ჩვენი ცოლები, ჩვენი შვილები. ეს შეუძლებელია, ხალხი ამის ნებას არ მისცემს, ის ხალხი, რომლის სისხლით მორწყულია ქალაქების ქვაფენილები და მინდვრები და სოფლის გზები. ან საიდან უნდა გაიჩინოს ხალხმა ფული? ჩვენმა ომმა იაპონიასთან მილიარდები ჩანთქა, ახლა, ამ 1905 წელს, საშიმშილობაა 23 გუბერნიაში. ხალხი დაიმშა, იტანჯება, ამას ფული სად გააჩნია, რომ დააჯილდოვოს ბბ. აფიცრები და ჩინოვნიკები, რომელთაც არ იციან, რა არის გაჭირება. მე გთხოვთ, ამხანაგებო, ამის წინააღმდეგ პროტესტი გამოაცხადოთ გაზეთების საშუალებით. მეთანხმებით?

კრებამ უფრო ძლიერ დაიგრიალა: „გეთანხმებით, გეთანხმებით!" და მთა-ბარმა გრიალითვე ბანი მისცა" (ჩ. ვ.).

გურიის ამბები.

17 ნოემბერს ქუთაისიდან ჩამოვიდა ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი ბ-ნი ალ. თ. ყიფშიძე. მისი განზრახვა იყო—მოლაპარაკებოდა ხალხს, ან ხალხის მეთაურებს.

იმ დღეს გურიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის რაიონულ ორგანიზაციის კონგრესი იყო. ბ-ნ ყიფშიძისაგან კონგრესზე მოვიდა წინადადება, რომ ის ან თვითონ მივა ხალხის მეთაურებთან მოსალაპარაკებლად, ან მეთაურებმა ინებონ მასთან მისვლა და მოლაპარაკება. კონგრესმა მას გაუგზავნა სამი რწმუნებული მინდობილებით.

ვიცე-გუბერნატორმა მოაგონა ხალხის რწმუნებულებს, რომ ამას იმედი აქვს, რომ გურულები აასრულებენ თავიანთ რაინდულ სიტყვას, რომელიც მისცეს ქუთაისის გუბერნატორს სტაროსელსკის. მთავრობა თხოულობს, რომ აეხსნას ბოიკოტი მთავრობის დაწესებულებებს, მიეცეს მთავრობას გადასახადი და სალდათები. რწმუნებულებმა ხალხის სახელით განაცხადეს: ა) რომ, თუ 17 ოქტომბრის მანიფესტი მხოლოდ ფიქცია არ იქმნება, არამედ განხორციელდება თვით ცხოვრებაში, თუ რომ ძველი პოლიციის მოსამსახურენი დათხოვნილ იქმნებიან, თუ რომ ის პლასტუნები, ოზურგეთში რომ დგანან, გაყვანილ იქმნებიან და თუ პოლიცია მარტო სისხლის სამართლის საქმეების აღმასრულებელი იქმნება და არავითარ პოლიტიკურ საქმეებს არ ეკისრება, ბოიკოტი მოხსნილ იქმნება.

ბ) თვით ხალხი არ არის წინააღმდეგი სალდათის მიცემისა, ის მისცემს სალდათს, მაგრამ, თუ სასალდათო უმაწვილები განჯის ამბების შემდეგ რაიმე მოთხოვნილებას წარადგენენ, ეს ხალხის საქმე არ არის და ხალხი ამის გამო პასუხს არ აგებს.

რაც შეეხება გადასახადს, ხალხი მას გადაიხდის, მაგრამ ორი და სამი წლის ნედოიმკის გადასახადი მას ერთბაშად არ შეუძლიან, რადგან ომისაგან გამოწვეულმა კრიზისებმა, ბათუმის ქარხნების დახურვამ ხალხი გააღატაკა. ამასთან ხალხი ვერ იკისრებს ვერც ჯაშუშის და ვერც პოლიციის როლს: ის ვერ დაიჭერს ავაზაკებს. პოლიცას კი ამ საქმეში ხელს არავინ არ უშლის.

გამოქცეულ სალდათების (დეზერტირების) შესახებ ხალხი იმ აზრისა არის, რომ სალდათები მან მთავრობას ჩააბარა და ხალხს არც მოუთხოვნია, გამოექცეოდა თუ სალდათები გამოექცა მათ, ეს მთავრობის „რკინის" დისციპლინის ბრალია და, თუ ეს დეზერტირები წავლენ თავიანთ ადგილას, ხალხი წინააღმდეგი არ იქნება.

უეჭველად ამით კმაყოფილი დარჩა ვიცე-გუბერნატორი და უთხრა რწმუნებულებს: მთავრობა ეცდება, ძველი მოხელეები შეძლებისდაგვარად დასცვალოს, თუ ხალხი ვინმე „საჩინოვნიკო" კაცზე მიუთითებს, მთავრობა მას დანიშნავსო; ამაზე მიუგეს, რომ სოციალ-დემოკრატი პოლიციელის ქურქში ვერ გაეხვევა და არც იმისთვის იბრძვის, რომ მთავრობისაგან თბილი ადგილი მიიღოს.

ეროვნული [illegible]

გადასახადის შესახებ ვიცე-გუბერნატორი დათანხმდა, რომ ხალხმა ის ნაწილ-ნაწილად გადაიხადოს. გარდა ამისა, განაცხადა, რომ ის ეცდება რაც შეიძლება, პლასტუნები ადრე იქნან გაყვანილი, ყოველსავე ღონეს იღონებს, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტი დაცულ იქმნასო. ვიცე-გუბერნატორი ხალხისა კმაყოფილი დარჩა, მაგრამ იმისი კი რა მოგახსენოთ, პლასტუნებისაც კმაყოფილი დარჩა თუ არა. საქმე იმაშია, რომ იმ ღამესვე ეს მთავრობის წარმომადგენელი პლასტუნებმა „გაქჩეს“.

ბ-ნი ყიფშიძე ეტლით წავიდა ოზურგეთიდან სამს ვერსზე თამბაქოს პლანტაციის დასათვალიერებლად. გზაზე ეტლი შეაჩერეს პლასტუნების დარაჯებმა და ნება არ მისცეს წასვლისა, სანამ ორი აფიცერი არ მოვიდოდა.

თუ მთავრობის წარმომადგენელი თავისუფლად ვერ გაივლის, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენ რა მდგომარეობაში ვიქნებით. ყოველსავე ღონეს ხმარობენ პლასტუნები, როგორმე ხალხი შესატაკებლად გამოიწვიონ და სისხლი აიღონ, ნასაკირალის მაგიერი გადაგვიხადონ, მაგრამ ჯერ გულის წადილი ვერ შეუსრულდეს.

ოზურგეთის საქალაქო სასწავლებელში სწავლა შაბე დაიწყო. თუმცა ყველგან ახალის პროგრამით იწყებენ სწავლას, მაგრამ ბ-ნი ინსპექტორი (გორგასლიძე) თავის გორგასლობას მაინც არა სტოვებს და ამბობს: სანამ მთავრობა არ მიბრძანებს, მანამდე მასწავლებლებს არ გავაბედვინებ, ჩემს ფილიპ ზახაროვს (დევიცკის) უღალატონო. ვნახოთ...

ანწელაძე.

განჯის ამბების გამო

ამიერ კავკასიის რკინის გზის ტელეგრაფისტთა კრებამ 20 ნოემბერს შემდეგი დეპეშა მიიღო: „განჯიდან დაწყებული ძეგამამდე აუცილებლად საჭიროა გაძლიერებული დაცვა. ჯარს განჯიდან ვერ გაგზავნიან სადგურებზე, რადგანაც აქ საშინელება ხდება და ჯარი აქვეა საჭირო. ჯარი უნდა გამოიგზავნოს ტფილისიდან და ტელეგრაფის მოხელეებმა ყოველი დახმარება უნდა გავუწიოთ, რომ არ შეფერხდეს ჯარის გამოგზავნა ხალხის დასაცველად. აგერ მესამე დღეა, მე-405 ვერსზე ცხრა მოკლული და დასახიჩრებული გვამები ჰყრია. საჭიროა მათი დასაფლავება.

რკინის გზის ტელეგრაფისტთა კრებამ გუშინვე შეატყობინა დეპეშით და აგრეთვე რკინის გზის უფროსის ნება დართვით დაინიშნა საგანგებო ტელეგრაფო მატარებელი ბაქომდის, რომელმაც მთელ ლიანდაგის ტელეგრაფისტებს უნდა შეატყობინოს, რომ სომეხ თათართა შორის ატეხილ ხოცვა-ჟლეტის გამო სამსახურის ასრულებას შეუდგნენ დაუყოვნებლივ.

20 ნოემბერს, დილის 12 საათზე, საგანგებო მატარებლით განჯაში წავიდა გენერალი მალამა.

20 ნოემბერს განჯაში გაიგზავნა ჯარი.

განჯა: დეპეშა გამოგზავნილია რკინის გზის უფროსთან 19 ნოემბერს. თითქოს ცოტა მიწყნარდა, საღამო ჟამია, არ ვიცით, რა მოხდება. თათრების ბრბო უფრო და უფრო იზრდება. რაც შეეხება სადგურს, წუთიწუთს ველით განადგურებას. ცეცხლმა ჩანთქა ნახევარი ქალაქი, ფერფლად ქცეული სახლები აქა-იქ ბოლავს. პატარა სადგურებიდან არა ვიცით-რა. ძეგამიდან ცუდი ხმები მოდის, ალიბაშლაში შეტაკება მომხდარა. არიან დახოცილები, დაიწყო ძარცვა-გლეჯა. ყველა მოსამსახურეები თხოულობენ გადაყვანას. ჯარი ძლიერ ცოტაა, ის ჯარი, რომელიც განჯის სადგურს იცავდა, ქალაქში გაიწვიეს: ჩვენ მოსამსახურეებისაგან შევადგინეთ მილიცია, სადგურის ირგლივ ერთი მუჭა ჯარისკაცები არტყია. დაჟინებით ვთხოულობთ, ყველა მოსამსახურენი შეგვაიარაღოთ და გამოგზავნოთ იარაღი. სადგურს ახლოს ბაზარია, სადაც სომხები ვაჭრობენ, ამათ მიანებეს დუქნებს და სახლებს თავი და ჩვენ, მოსამსახურეთ, შემოგვეკედლნენ, ამის გამო თათრები უფრო ძლიერ გვემუქრებიან. როგორც ამბობენ, ქალაქში მოკლულია სამასი, ქალაქიდან ვოგზლამდის ოცზე მეტი გვამი ჰყრია უპატრონოდ. დაჭრილი და დამწვარი ბევრია, იმდენი ღონისძიება არ არის, რომ კაცმა გაიგოს, ვინ არის კვდარი და ვინ არა. დღეს, 19-ში, დილის 7 საათზე, დაიწყო საშინელი ხოცვა. გაისროლეს რვა ზარბაზანი. ძალიან დიდი ჯარი დგას სომეხთა და თათართა კოლონიების შუა. ორსავე პოზიციას გზას უკრავს.

დეპეშა გამოგზავნილია 20 ნოემბერს, ღამის 4 საათზე.

მე-406 ვერსზე მოჰკლეს ცოლი ლიანდაგის დარაჯისა, დაჭრილია პატარა ბავშვი. მე-425 ვერსზე გაძარცვეს დარაჯის სადგომი. ძეგამში კაზაკებმა გამართეს თათართა ბრბო, რომელიც ცდილობდა ცეცხლი წაეკიდებინა სომხის სახლისთვის. მოკლულია ერთი თათარი. სადგურ დოლიარში იქაურმა მცხოვრებლებმა გაძარცვეს სადგურზე მდგარი ვაგონები, ორი ვაგონი ხორბლითა და ერთი მანიფაქტურით სავსე. სად. შამხორის ახლოს მე 450 ვერ. მოჰკლეს 9 სომეხი მუშა, რომლებიც მუშაობდნენ კოლონისტებთან. განჯის სადგურზე შესდგა მილიცია. ქალაქიდან დილის ათ საათზე 19 ნოემბერს ყუმბარის ხმა მოვიდა. ამას მოჰყვა ექვსჯერ ზარბაზნების სროლა, ახლო მახლო სოფლებში დადიან შეიარაღებულ თათართა ბრბოები. ჯარის კაცნი არ უშვებენ თათრებს სადგურთან. ორი თათარი დასჭრეს. რამდენია ქალაქში დახოცილი, დანამდვილებით არ ვიცით.

სად. დოლიარი. 20 ნოემბერი. ღამით შეიარაღებული ბრბო დაეცა საქონლის საწყობს და გაიტაცა საქონელი. მოსამსახურეებს წაართვეს ფულები. სადგურს მარტო ხუთი სალდათი იცავს. მოსამსახურები სადგურიდან გაიქცნენ.

სად. შამხორი, 20 ნოემბერს. ახლო-მახლო მცხოვრები თათრები ეს მესამე დღეა გვძარცვავენ. მოსამსახურენი გარბიან, იმუქრებიან სადგურს დავეცემითო.

სად. ალიბაშლო. 20 ნოემბერს, შუადღის 1 საათზე. გთხოვთ დანიშნოთ მატარებელი საქონლისა და მოსამსახურეების ავეჯის დასატვირთავად. აქ დგომა აღარ შეგვიძლიან. თათრებმა შემოგვითვალეს, რომ ღამით დაგეცემით და საშინლად აგიკლებთო. მოსამსახურე თათრებიც გაიქცნენ, ჯარის კაცი მარტო ათია. გთხოვთ გვიშველოთ რამე.

განჯა. 20 ნოემბერს შუადღის 12 საათზე გამოგზავნილი. აუცილებლად საჭიროა, რომ მთელს სადგურს ჯარი შემოერტყას, უამისოდ ძრიელ ძნელია, რომ სადგურმა განაგრძოს წარმოება.

განჯა. 20 ნოემბერს, საღამოს რვის ნახევარზე, საგანგებო მატარებლით თათრების და სომხების დასამშვიდებლად აქ ჩამოვიდა კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე გენერალი მალამა. გენერალს თავის შტაბი თან ახლავს. რადგანაც ღამე იყო, ქალაქში ვერ გავიდა, 21 ნოემბერს დილით გავა ქალაქში. ქალაქი თითქოს მშვიდდება, სროლა აღარ ისმის.

დეპეშა, გამოგზავნილი 20 ნოემბერს, საღამოს ათ საათზე, ნამესტნიკის სახელობაზე გენერალ მალამასგან:

„რადგან ფაიტონები არ იყო, ღამე ქალაქში ვერ გავედი 21 დილით ადრე გაველ ქალაქში. პოლიცმეისტერმა მიამბო, რომ ქალაქში სიმშვიდეა. სომეხ-თათართა სახლები იწვის. ორივე მხარემ, მოლაპარაკების შემდეგ, გადასწყვიტეს, გასცვალონ გვამები და შური აღარ იძიონ, მაგრამ აუარებელი შეიარაღებული თათრები და სომხებია სოფლებიდან ჩამოსული. დრაგუნები გავიდნენ ქალაქში. განჯიდან დაწყებული ტაუზამდე რკინის გზის ყველა მოსამსახურეები შეშინებულნი არიან. სადგურ განჯაში მოსამსახურეები ცოტა დამშვიდდნენ, ჯარი რომ ჩამოვიდა.

სახალხო მატარებლების მიმოსვლა ბაქოს მხარეს ღამით არ სწარმოებს, რადგანაც ლიანდაგის დარაჯნი გაიქცნენ.

ამიერ კავკასიის რკინის გზის სამმართველოს შემდეგი დეპეშები მოუვიდა:

ევლახი. 20 ნოემბერს, საღამოს რვა საათიდან დაწყებული ღამის 1 საათამდე, საშინელ მდგომარეობაში ვიყავით. სამასი ცხენოსანი, შეიარაღებული თათარი დაგვეცნენ თავს, ასტეხეს განუწყვეტელი სროლა. გასტეხეს საქონლის საწყობი, გამოიტანეს საქონელი, დაუწყეს ფურგუნსა და წაიღეს, შემდეგ საწყობს შიგნიდან ცეცხლი წაუკიდეს, გაანადგურეს და 12 ფურგუნზე დაუწყეს აუარებელი საქონელი „კავკაზ და მერკურის“ კანტორიდანაც და სადღაც გაჰქრნენ. სროლა აღარ ისმის. ყველა ამის შემდეგ მოვიდა ჯარი.

ევლახი. 21 გამოგზავნილი დეპეშა: „საშინელ ღამის შემდეგ, როცა ტყვიებს ქვეშ მთელი ხუთი საათი გავატარეთ, აღარ მოგვდევს ძალა რომ კიდევ დავრჩეთ აქ. მოგვეცით გადაჭრილი პასუხი: იქნება ჯარი გამოგზავნილი, თუ არა.

განჯიდან ნამესტნიკის სახელზე გამოგზავნილი დეპეშა, 21 ნოემბერს.

„დილის რვა საათზე ქალაქი დავიარე. თუმცა პირობა მომცეს წესიერებას დავიცავთო, მაგრამ დღეს კიდევ ისვრიან. ორი სალდათი მსუბუქადაა დაჭრილი. სომხებსა და მათ ქონებას ჯარი სდარაჯობს. თათრებსა და სომხებს ვეთათბირე. უკანასკნელი თათბირი 22 გვექნება. ახლა 11 საათია, ქალაქში სიწყნარეა. **მალამა.**

ქ. გუმბრიდან სრულიად-სომეხთა კათალიკოსმა შემდეგი დეპეშა მიიღო 20 ნოემბერს: „გუმბრში მყოფნი სომეხნი ჯარის-კაცნი სთხოვენ თქვენს უწმინდესობას, თქვენი ავტორიტეტიული დახმარება გაგვიწიოთ, რომ გუმბრში მდგომ ჯარში მყოფნი სათადარიგო ჯარის-კაცნი დაუყოვნებლივ გაანთავისუფლონ, რათა მათ შეადგინონ განსაკუთრებული რაზმები თავიანთის აფიცრების უფროსობით, და გაგზავნილ იქმნენ განჯის გუბერნიაში წესიერების დასამყარებლად. ვიკარი არქიმანდრიტი კურეგი, ქალაქის მოურავი ტერ-პეტროსიანცი“. არქიმანდრიტმა კურეგმა და ქალ. მოურავმა ტერ-პეტროსიანმა გუმბრიდან შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს ნამესტნიკსა და სომეხთა კათალიკოსს: „ადგილობრივ მცხოვრებლებმა, შეიკრიბნენ-რა განჯაში დაწყებულ სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის გამო, დაადგინეს, რომ სთხოვონ თქვენს ბრწყინვალებასა და მისს უწმინდესობას, არ დაზოგოთ თქვენი ძალ-ღონე, რომ ბოლო მოეღოს განჯის საშინელ ამბებს და დაუყოვნებლივ ღონისძიება მიიღოთ, რომ შესწყდეს ეს წინადვე განზრახული და მოწყობილი ხოცვა-ჟლეტა თათრებისა და ხულიგანების მხრივ. თხოულობენ, გაუქმებულ იქმნას ამიერ-კავკასიაში ომიანობის დროის წესები და დაუყოვნებლივ გადაყენებულ იქმნან გენერალ-გუბერნატორები გენერალი თაყაიშვილი და იაცკევიჩი; გაუქმებულ იქმნას ყოველგვარი შემავიწროებელი ღონისძიებანი, რომელიც მიმართულია სომეხთა შეიარაღების წინააღმდეგ, რაიცა ძლიერ საჭიროა თავის დასაცველად, და ნება-დართულ იქმნას სახალხო მილიციის დაარსება სომხებისაგან, რუს-აფიცრების უფროსობით, რომ დაცულ იქმნას მოქალაქეთა ქონება და პიროვნება; განთავისუფლებულ იქმნან უდანაშაულოდ დაპატიმრებულნი, განთავისუფლებულ იქმნან სომეხი სათადარიგო ჯარის-კაცნი, რომ დაიცვან თავიანთი დარბეული სახლ-კარი და ოჯახი. კრებამ მოითხოვა ჩვენგან, რომ მცხოვრებთა ეს დადგენილება ვაცნობოთ თქვენს ბრწყინვალებას“.

შამხორიდან 22-ს მოსული დეპეშა. თათრები არ გვასვენებენ. გასტეხეს სამი ვაგონი და საქონელი სულ წაიღეს. საქონლის საწყობს ძირი გამოუთხარეს, უეჭველია, ამაღამ კიდევ დაგვეცემიან.

კოვლიარი 22 ნოემბერი. ეს-ეს არის ახლა შეგვატყობინეს, რომ დიდი ბრბო სომხებისა წამოსულა და აპირებს დაეცეს თათრების სოფელს კოვლიარს. გთხოვთ დაუყოვნებლივ გამოგვიგზავნოთ თავ-დასაცველი ჯარი.

კოვლიარში სომხები თათრებს უკვე დაეცნენ და ჟლეტენ.

განჯიდან ჩამოსულები გადმოგვცემენ: განჯაში მაჰმადიანები და სომხები ძალიან მეგობრულად სცხოვრობდნენ. ეროვნული განხეთქილება მათ შორის არ ყოფილაო.

უკანასკნელ ხანებში ქალაქში სხვადასხვა ალაგებიდან, მომეტებულად კი ბაქოდან, ჩამოდიოდნენ ხულიგანები, მაგრამ ამ გარემოებას ყურადღებას არავინ აქცევდა. განჯაში საზოგადოდ ხალხი არ იყო დამშვიდებული, რაც აიხსნება რევოლუციონურ მოძრაობით, ერთი მხრივ, და მეზობელ გუბერნიებში სომეხ-თათართა შეტაკებებით, მეორეს მხრივ მაგრამ არავის არ სჯეროდა, რომ იქ ამგვარი სისხლის ღვრა მოხდებოდა, თუმცა შიში კი ყველას ჰქონდა.

18 ნოემბერს იქ უნდა მომხდარიყო დიდებული მიტინგი. მიტინგში მონაწილეობა უნდა მიეღოთ, როგორც მაჰმადიანებს, ისე სომხებს და სოციალ-დემოკრატიულ, „დაშნაკციუტუნის“, მაჰმადიანთა „იფტიჰადის“ და ქართველ სოც.-ფედერალისტების პარტიების წარმომადგენლებს. მიტინგი უნდა მომხდარიყო საქალაქო სასწავლებლის შენობის ეზოში. 15 ნოემბერს ქალაქის მიდამოებში ვიღაცეებმა მოჰკლეს რამდენიმე მაჰმადიანი. მკვლელები ვერ აღმოაჩინეს. ქალაქში კი ხმა გავრცელდა, სომხებმა დახოცესო.

17 ნოემბერს სომხების უბანში კიდევ იპოვნეს 2 მოკლულ მაჰმადიანის გვამი. ვერც ამათი მკვლელები აღმოაჩინეს. ამ გარემოებამ მაჰმადიანთა მცხოვრებნი მეტად აღელვა, მაგრამ დარბევის ნიშნები ჯერ კიდევ არ იყო.

17 საღამოს ტფილისიდან ჩამოვიდნენ სხვადასხვა პარტიების ორატორები მიტინგზე დასასწრებლად.

18-ს დილით ქალაქში მშვიდობიანობა იყო, მაღაზიები ყველას ღია ჰქონდა.

შუადღის 12 საათზე უნდა მომხდარიყო მიტინგი. თერთმეტის ნახევარზე ხოცვა-ჟლეტა დაიწყო. რამ გამოიწვია სისხლის ღვრა, კაცმა არ იცის. ზოგი ამბობს: როდესაც მაჰმადიანები მივიდნენ სომხების უბანში მოკლულების გვამების წამოსაღებად, ვიღაცამ თოფის სროლა ასტეხაო. ზოგნი ამბობენ: მომხდარ მკვლელობის გამო მაჰმადიანებისა და სომხების წარმომადგენლნი უნდა მისულიყვნენ გენერალ-გუბერნატორთან. დანიშნულ ვადას სომხები არ მივიდნენ და ამ გარემოებამ მაჰმადიანები მეტად აღელვაო, სხვები კიდევ სხვანაირად ხსნიან.

პირველად მაჰმადიანები დაეცნენ იმ სომხებს, რომელნიც თათრების უბანში ვაჭრობენ. მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი ჯერ კიდევ ვერ არის გამორკვეული. მოედანზე მოკლულია 48 სომეხი, მოკლულ მაჰმადიანთა რიცხვი დიდია. სომხების უბნებში თოფის სროლამ ნახევარ საათს გასტანა. შემდეგ სახლებს უკიდებდნენ ცეცხლს. 11 საათზე ქუჩებში გაჩნდა არტილერია, კავალერია და ქვეითი ჯარი. თათრების უბანში სროლა შესწყდა, ხოლო სომხების უბანში თოფის სროლა ისევ ისმოდა. სროლამ კიდევ ორ საათს გასტანა.

სახლებს მთელი დღის განმავლობაში ეკიდა ცეცხლი და უფრო ძლიერდებოდა.

საღამოზე მაჰმადიანებს უნდოდათ გასულიყვნენ პატარა მდინარე განჯა-ჩაი და „ჩაპლიში“ თავისს მოძმეებს უნდა მიშველებოდნენ, მაგრამ ზარბაზანი დაუშინეს და ბრბო გაიფანტა. ამის შემდეგ მთელი დღე და ღამე ძარცვავდნენ, როგორც მაჰმადიანებისა, ისე სომხების მაღაზიებს. 19 ნოემბერს თოფის სროლა განახლდა, რომელმაც რამდენსამე საათს გასტანა. თოფებს ისროდა ჯარიც.

ბძანება
კავკასიის სამხედრო ოლქს № 309

1905 წ. 5 ნოემბერი.

დამცველია რა წესიერებისა და მშვიდობიანობისა, ვისგანცა და რა გზითაც უნდა იყოს ეს წესიერება დარღვეული, მფარველია რა მშვიდობიან მკვიდრთა სიცოცხლისა, რა მხრითაც არ უნდა მოელოდეს განსაცდელი სახეს, — ჯარი პოლიტიკაში არ უნდა ერეოდეს.

ამის გამო ვაცხადებ რა, რომ სამხედრო სამსახურში მყოფთა მიერ პოლიტიკით გატაცება ძირითადად ეწინააღმდეგება სამხედრო წესსა და დისციპლინას, საჭიროდ მიმაჩნია რწმუნებულ ჩემდამი სამხედრო ოლქში ახლავე დაუყოვნებლივ და უცილობლად ავუკრძალო აფიცრებს, იუნკრებს და დაბალ ჯარის კაცთ, აგრეთვე სამხედრო სასწავლებლებში მოსწავლეთ მონაწილეობის მიღება პოლიტიკურ კრებებს, მიტინგებსა და მანიფესტაციებში, რა ხასიათისაც უნდა იყოს ეს მანიფესტაციები, აგრეთვე ვუკრძალავ პოლიტიკურ საზოგადოებებსა და კავშირებში ჩაწერასაც.

ყველა, ვინც კი გარდავა ამ ჩემ ბძანებას, სასტიკად იქმნება დასჯილი. წინადადებას ვაძლევ სამხედრო დაწესებულებებისა, სამმართველოებისა და სასწავლებლების ყველა უფროსებს მიიღონ უსასტიკესი და აუცილებელი ზომები, რომ ეს ჩემი ნაბძანები დარღვეულ არ იქმნეს, როგორც ჯარის კაცებისა, ისე სამხედრო სასწავლებელში მოსწავლეთაგან.

ბძანება ესე წაიკითხოს და განუმარტოს ყველა ჯარის კაცებს.

ფელეტონი

სამართალი

(ნამდვილი ამბავი. ვ. ბოიკოვისა)

„უბედურო ხალხო!.. როდის რა უნდა გეშველოს, როდის უნდა მოიშორო მჩაგვრელები? როდის უნდა განთავისუფლდე, შე საბრალო და საცოდაო?.. შენი დაბეჩავება და სიბნელე სხვას აბედნიერებს, შენ კი ღატაკად რჩები, შენი ბედილბალი არავის აფიქრებს, შენთვის არავინ თავს არ იტკივებს. სხვის გულქვაობა და გამდიდრების ჟინი შენ მუხრუჭს გიჭერს, უკანასკნელ სისხლის წვეთსა გწურავს, შენ კი ბოგანოდ, ულუკმაპუროდ რჩები.

აბა, მობძანდით და თვალი მოავლეთ მარილის სამრეწველოებს, სადაც ბოგანო მუშა-ხალხი ათასობით წელს იწყვეტს! ნახეთ, გაიგეთ, რა აუტანელი, უადმიანო შრომაა!

უგულო და უსულო მრეწველნი და მათი მოურავები არაფერს ერიდებიან, ოღონდ კი საწყალი, უნუგეშო და უიმედო ხალხი პირუტყვად აქციონ, წელი მოსწყვიტონ და ოქროს ზოდები ამოანთხევინონ. აქ სასტიკი მონათ-მფლობელობაა დაკანონებული.

კატორღაში არა ვყოფილვარ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, იქაც არ იქნება ესეთი საშინელი ტანჯვა-ვაება, როგორიც მარილის სამრეწველოებზეა, თუმცა აქ ხალხი „ნებაყოფლობით“ მუშაობს. საზარელი წარმოსადგენია, რამდენი სისხლი და ოფლი ინთხევა, რა მაცოცხლებელი ძალა იხარჯება, რამდენი ადამიანი იღუპება მონათმფლობელების საკეთილდღეოდ.

— მამილო, აღარ შემიძლიან!.. ველარ ვათრევ!.. ამბობს ღონე-მიხდილი მოზარდ-ჭაბუკი და თან მდუღარე ცრემლი გადმოსდის. მამის გვერდით ისიც რვა-ფუთიან ტაჩკას მიათრევდა, მარილით დატვირთულს, და, ეტყობა, ველარ გაუძლო.

— უჰ, ზანტო, დუნდულა! მომყე, წამოიღე ჩქარა!..—უყვირის „მამილო“ და თან ვეებერთელა მუშტი „ურჩ“ შვილს ჩაჰზილა კისერში.

უამისოდაც დაღალულ-დაქანცულმა ჭაბუკმა მუშტს ვერ გაუძლო, წაბორბაცდა, ტაჩკა ხელიდან გაუსხლტა და დაიმსხვრა. დუნდულა ზედ დაეცა და ბავშვისავით ტირილი მორთო.

— აი, შე ეშმაკის კერძო! ტაჩკა ხომ მოინგრე!.. დღეს კარგა ვიხეირეთ... აბა, ორ-მანათნახევარი გალესე და მოურავს მიართვი. ოჰ, ღმერთო! საიდან რა ურდა მოვახერხო?.. ამბობს სასოწარკვეთილი მამა.

როგორ გგონიათ, რას იღებს დღეში დუნდულა ამისთანა მძიმე საქმეში?—ათ შაურს ზაფხულის დღეში.

მაგრამ ეს არაფერი.

გორასავით აგროვებული მარილი, რომლის გაზიდვაც შემოდგომას ვერ მოასწრეს, ზამთარში გაერთდება, შედუღდება, კლდესავით გამაგრდება. გაზაფხულსა და ზაფხულში ეს კლდე უნდა მოსჭრა, მოსჩეხო, დაფხვნა, ტომრებში ჩაყარო, ნავთსადგურამდე მიზიდო და გემები დატვირთო.

იცით, რა არის მარილით გემების დატვირთვა?.. იცით, რა დღეს აყენებს მუშას შვიდ-ფუთიანი მარილის ტომარა!..

გაუსინჯეთ უბედურს ზურგი და მაშინ გაიგებთ: სულ დაჩხვლეტილი აქვს მარილის კვნიტებისაგან, ერთიბეწვა სწორე ადგილს ვერ უპოვით, ისე დაღრღნილია მთელი ზურგი.

ოჰ, რა უღმერთობაა?

დაუმზადებიათ შვიდ-ფუთიანი ტომრები, თითქო მარილის საზიდად დევებს მოელოდნენ და არა ჩვეულებრივს, საბრალო და შიმშილ-ჯაფისაგან ღონე მიხდილ-მისუსტებულ ადამიანს.

მერე ამ ტომრების მზიდველ მუშას დღიურად კი არ იჭერენ, როგორც სხვა სამუშაოზე, არამედ ფუთობით, ტომრობით უანგარიშებენ. ეს უფრო სახეიროა მოურავისთვის. საწყალი მუშა ეცდება, რაც შეიძლება, მეტი გადაზიდოს, და მოურავსაც ეს უნდა: მეტს გაგზავნის, მეტი ხეირი ექნება.

მარილის ზიდვით დუნდულა დღეში ათ შაურს ვერ იშოვიდა, საქმე რომ რიგიანად იყოს დაყენებული. მხნე და ღონიერი მუშაც იმდენ მარილს ვერ მოსჭრიდა და ვერ გადაზიდავდა, რომ ათი შაური რგებოდა დღეში იმ ანგარიშით, რომელიც აქ მრეწველ-მოურავებს დაუწესებიათ. ამიტომ მუშა ხერხს ამჯობინებს ღონესა, ისეთ საშინელ ხერხს, რომელიც ხშირად სიცოცხლესაც უსპობს.

ან რად უნდა სიცოცხლე, როცა კუჭი ვერ გაუძღია? ფუჭია ესეთი სიცოცხლე...

აბა სცადეთ და იმ ძველებურ იარაღით—ცულითა და წერაქვით—გააპეთ კლდე. ვნახოთ რამდენს მოსჭრით დღეში. და მარილის გორაც ხომ ნამდვილი კლდეა.

დაბეჩავებული მუშა, რომელსაც დღესაცა ჰშიან და ხვალის იმედი ხომ სულაც არა აქვს, ძალა-უნებურად ისეთს ბარბაროსულ ხერხს იგონებს, რომელიც მხოლოდ თავზარ-დაცემულ ადამიანს შეუძლიან.

იმის მაგივრად, რომ მარილის გორაზე ავიდეს და მარილი ზემოდან მოსჭრას, მოსჩეხოს, ის ქვემოდან უთხრის ძირს. ორი-სამი საჟენი უნდა შესჭრას, რომ კლდე თავის სიმძიმით ჩამოწვეს. მარილი მეტად შედუღებულია და არ აძვრის, მუშები ზედ ადიან და ჩაქუჩებსა სცემენ, რომ ქვემოდან შეჭრილი კლდე მოირღვეს. ამრიგად ჩამოწოლილი მარილი თავისთავად იფშხვნება და ამით მუშებს საქმე უადვილდებათ,—ნიჩბებს მოუსვამენ და ტაჩკებში ჩაჰყრიან.

წარმოდგენილი გაქვთ, რა საზარელია ესეთი მუშაობა? თუ გნებავთ, ერთ ამბავს მოგახსენებთ.

მარილის გორა ყველგან ერთგვარად არ არის შედუღილ-გაკლდევებული. ალაგ-ალაგ მაგარია, ალაგ-ალაგ ფხვიერი. აბა, როგორ უნდა გაიგოს კაცმა, სად შეიძლება მხოლოდ ერთი საჟენი გამოსთხარო და სად ორი, ან მეტ-ნაკლები, რომ მარილი თავისთავად ჩამოწვეს?

— უყურე, მიტრი, კლდე ხომ არ ირღვევა!—ისმის გამოთხრილ ჯურღმულიდან ცოცხლად საფლავში ჩაწოლილ ადამიანის ხმა.

— ნუ გეშინიან, ცოტა კიდე დაჰკა!—ამხნევებს გორაზე მეთვალყურედ აფოფხილი „ინჟინერი“.

ჯურღმულიდან ყრუდ მოისმის წერაქვების ჯახუნი.

— გადმოდით, გადმოდით, ჩქარა ხალხო!.. სკდება!..

აგერ, წამოვიდა უშველებელი, ყველაფრის გამანადგურებელი ქვის ზვავი და გაქცეულ-გაფანტულ მუშებს უკანიდან მისდევს, მიერეკება.

— უჰ, რა საშინელია! სწორედ ეშმაკის ძალაა!

— ოი, ოი, ფეხი!—ყვირის ერთი, რომელსაც ზვავი დაეწია.

— მოიცათ, ხალხო!.. პროშკა არა სჩანს.

დიაღ, პროშკა აღარ არის. პროშკა მარილში დაიმარხა.

მუშები გაშმაგებით ეძგერნენ მარილის ზვავს და წარმოუდგენელის სიმხნევით მუშაობდნენ ნიჩბებით.

ნახევარ საათის შემდეგ პროშკა ამოიღეს საფლავიდან.

ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს პროშკაა!..

თავი განარცხვია. შიგ მარილის კვნიტები ჩასჭედია. ცხვირის ადგილი გასწორებულა. გული გაჭპობია, სისხლი სჩქეფს და მარილს აწითლებს. მარცხენა თვალი გადმოკარკლულია და ისე გამოიყურება, თითქო ამხანაგს დასცინის: „ეჰ, ძმაო მიტრი, ვერაფერი ინჟინერი ყოფილხარო!“

— აღარა სუნთქავს! .—ამბობს ერთი მუშათაგანი.

— აი, თქვე საძაგლებო, წყეულებო, კიდევ თავსატეხი გამიჩინეთ! მოდი და თქვენ მაგიერ ეხლა მე მიმცენ პასუხის-გებაში!—ყვირის მოურავი, რომელიც მეორე გორასთან მდგარიყო და სეირს უყურებდა.—აი, თქვე ხარბებო, გაუმაძღრებო!.. თქვენთვის სულ ცოტაა, სულ ცოტაა, რაც უნდა მოგცეთ!.. ადვილი სამუშაო, კარგი რამ მოიგონეთ, წყეულებო! გინდათ მე დამღუპოთ? ოღონდ კაცმა ნება მოგცეთ, მცირედ გაგიადვილოთ საქმე, და თქვენ ყველაფერი გავიწყდებათ,—სინიდისიც, პატივისცემაც, მადლობაც!..

თავზარდაცემული მუშები პროშკას დაჰყურებდნენ და არ იცოდნენ, რა ექმნათ.

— ოჰ, ღმერთო, შეგვინდე შეცოდებანი!..

შეიწყალე, უფალო!—ძლივს ამოიდგეს ენა დამუნჯებულმა მუშებმა და მწარედ ამოიოხრეს.

— ღვთის ნებაა!..

ეს საფლავი, ვგონებ, ყველა აქაურ მუშებისთვის არის გამზადებული“.

—

ეს ნამდვილი ამბავი დაბეჭდილი იყო ერთს გაზეთში. კორესპონდენტი სისხლის სამართლოში მისცეს.

სამრეწველოების მოურავი ცილისწამებას აბრალებდა.

დამნაშავე—მაღალ-მაღალი, გამხდარი, დარბაისელი კაცი,—დარწმუნებული იყო, რომ გამართლდებოდა.

მოწმეთა შორის სასამართლოში მარილის მსხვერპლის ქვრივიც იყო. ის განუწყვეტლივ ტიროდა და ხანდახან კორესპონდენტს გაჰყურებდა იმედით. ის ეგულებოდა ერთად-ერთ მცველად, მანუგეშებლად.

მის გვერდით, კედლისკენ, სამრეწველოს მუშები შეჯგუფულიყვნენ. ისინიც მოწმეებად დაებარებინათ.

მდივანმა საბრალმდებლო ოქმი წაიკითხა.

სამთამადნო გამგეობის მოხელეს გამოძიება მოეხდინა და დაესაბუთებინა, რომ მოურავს არავითარი დანაშაულობა არ მიუძღვის. თვით პროშკას „საკუთარ გაუფრთხილებლობის“ ბრალია.

თავმჯდომარე ეკითხება ბრალდებულს:

— თქვენს თავს დამნაშავედ აღიარებთ?

გაფითრებულ და ათრთოლებულ ბრალდებულის სახეს სიწითლემ გადაურბინა. აკანკალებულის ხმით, რომელშიაც დაუმსახურებელი შეურაცხყოფა და გულის წყრომაც ისმოდა, დამნაშავემ უპასუხა:

— არა, არ ვაღიარებ... მე ჩემის თვალით მინახავს მარილის სამრეწველოები და ბარბაროსულ მუშაობასაც დავსწრებივარ. გავშტერდი, როდესაც გავიგე და დავრწმუნდი, რომ ამგვარად მოურავისა და ნოქრების ნებართვით მუშაობენ. ისინი ხშირად თავს ადგანან მუშებს და ერთობიან საშინელ და საზარელ სანახაობით. და მარტო მე ხომ არ მინახავს,—აი, აქ არიან მოწმეები—თვით მომუშავენი და მოკლულის ქვრივიც.

სასამართლო მოწმეების გამოკითხვას შეუდგა.

თავმჯდომარე ეუბნება მოკლულის ქვრივს, გვიამბე, უბედურება როგორ მოხდაო.

ქალი სულ იცრემლება, სტირის და ჭუჭყიან წინსაფარით იწმენდს ცხვირსა და თვალებს.

— მოჰკლეს... ჩვენი ნუგეში... მოჰკლეს... ხუთი შვილი...

— უბედურობა რომ მოხდა, იმ დროს იქ იყავით?—ეკითხება სამრეწველოს მოურავი.

— არა, არა ვყოფილვარ... ღვთისნიერნო... მიტრიმ მიამბო... ოჰ, ღმერთო... შვილები, ობლები... საჭმელი არა გვაქვს...

ახლა მუშებს დაუწყეს გამოკითხვა.

პირველად შემოიყვანეს მაღალი, წითელწვერა მიტრო კოზიავკინი.

— კოზიავკინ, აბა გვითხარი, მართალია, რომ მუშები მარილს ზევიდან კი არა სჭრით, არამედ ქვემოდან ძირს უთხრით მთელ საჟენის სიღრმეზე

ხელს აწერს სამხედრო ოლქის მთავარსარდალი გენერალ-ადიუტანტი გრაფი

ვორონცოვ-დაშკოვი.

ბძანება № 323.

1905 წ. 12 ნოემბერი.

ბძანებითა ჩემითა ჩემდამი უმაღლესად რწმუნებულ სამხედრო ოლქის მიმართ, 309 ნომრით, მე აღვნიშნე, რომ სამხედრო წესის ძირითადი კანონების ძალით ბ-ნმა ოფიცრებმა და დაბალმა ჯარის-კაცებმა პოლიტიკაში მონაწილეობა არ მიიღონ. ესევე ძირითადი კანონები უკრძალავს ჯარის კაცთ გაზეთის საშუალებით თავი იმართლონ იმ ბრალდებისაგან, რომელთაც ჯარს თავზე ახვევენ და რომელიც დამყარებულია პოლიტიკურ საფუძველზე.

ამის და მიუხედავად, საზოგადოების ერთი ნაწილი და ზოგიერთი გაზეთები ჰკიცხავენ და განგებ ამახინჯებენ ჯარის მოქმედებას, იმ ჯარის საქციელს, რომელიც მოწოდებულია წესიერების დასამყარებლად და მშვიდობიან მცხოვრებთა დასაფარავად.

ბატონო აფიცრებო და ძმანო სალდათებო! თქვენ ფიცი მიიღეთ, რომ რწმენითა და სიმართლით ემსახუროთ მეფესა და სამშობლოს.

თუ თქვენ სინიდისიერად ასრულებთ თქვენს მოვალეობას, ყურადღების ღირსი არ არის რას იტყვიან და ან რას დასწერენ ზოგიერთნი უმეცარნი და არაკეთილ სინიდისიერნი თქვენ შესახებ, ვინაიდან იგინი არც თქვენ გიცნობენ და არც ჩვენი სამსახური იციან. ამიტომ თქვენ არ უნდა გაშფოთებდეთ, ხალხის აზრი. თქვენ უნდა გაწუხებდეთ მარტო ერთი რამ—შებღალვა თქვენის მოვალეობისა და ფიცისა, გახსოვდეთ, რომ თქვენ პასუხს აგებთ მხოლოდ კანონისა და სინიდისის წინაშე.

თავის მოვალეობათა მტკიცედ აღმასრულებელი ჯარი ყოველთვის ცილის წამებისა და მსჯვრის დებაზე მაღლა უნდა იდგეს, ეს ცილისწამებანი განგებაა გამოგონებული, რომ ხალხს ნდობა დაუკარგონ ჯარისადმი და თვით ჯარს გული შეაცვლევინონ თავის წმინდა საქმეზე.

გახსოვდეთ ყველა ეს ბბ. აფიცრებო და გულადნო ჯარის კაცნო, კავკასიის სახელოვანის დაშქრისანო, ნამეტნავად გახსოვდეთ თქვენი მოვალეობა მეფისა და სამშობლოსადმი, ხოლო რასაც თქვენზე იტყვიან ან დასწერენ თქვენის ყურადღების ღირსი არც კი უნდა იყოს.

ბძანება ესე წაეკითხოს ბ-ნ აფიცრებს აგრეთვე წაეკითხოს და განემარტოს მთელის სამხედრო ოლქის როტებისა, ბატარეებისა, ესკადრონებისა, ასეულებისა და კომანდების დაბალ ჯარის კაცებს.

ხელს აწერს მთავარ-სარდალი გენერალ ადიუტანტი **გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი.**

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან).

მოსკოვი, 22. 1) „მოსკოვის ფოსტა ტელეგრაფის მოხელეთა ბიურო დაატუსაღეს. ამორჩეულ იქმნა ახალი ბიურო. განკარგულებამდე გაფიცვას ნუ შესწყვეტთ. მტკიცედა ბართ“.

2) მტკიცედ ვართ. კრება ჰმოქმედობს, ხვალ, 21 ნოემბერს, პეტერბურგში მიელიან ჩვენ დელეგატებს. შედეგს მალე შეგატყობინებთ. იყავით მედგრად და მშვიდათ.

ახალი ამბავი

22 ოქტომბერს, ტფილისში „პატრიოტებისაგან“ მომხდარ სისხლის ღვრის გამო, ნამესტნიკმა დაახლოვებით **ხელმწიფეს შემდეგის შინაარსის დეპეშა გაუგზავნა:** 22 ოქტომბერს პატრიოტების პარტიამ თქვენის იმპერატორებითის უდიდებულესობის სურათითა და „ბოჟე ცარია ხრანის“ სიმღერით გამოიარია გოლოვინის პროსპექტზე და, როდესაც ეს დიდებული პროცესია სასახლისაკენ გაემართა, მაშინ პროცესიას ქუჩაში თავ-მოყრილმა ხალხმა რევოლვერებისა და ყუმბარების სროლა აუტეხა. ისროდნენ „ტიფლ. ლისტ.“ და „ნოვ. ობოზრ.“ რედაქციებიდან. ტყვის სეტყვამ ვერ შეაკრთო პატრიოტები და ერთ წამსაც არ შეუწყვეტიათ სიმღერა „ბოჟე ცარია ხრანი“. არ შემიძლია თქვენის უდიდებულესობის ყურადღება არ მივაქციო იუნკრებისა და კადეტების გულადობას, რომელნიც სამშობლოსა და თქვენის უდიდებულესობის სიყვარულსა და ერთგულებას განამტკიცებდნენ მამულიშვილურ საქციელით. პატრიოტთა დასაცველად იძულებული გავხდი, დრაგუნები და ქვეითა ჯარი გამომეწვია, რომელმაც სამ საათზე სრული წესიერება დაამყარა. მოკლულნი და დაჭრილნი ორთავე მხრივ არიან.

დამატებითი დეპეშით ნამესტნიკმა აცნობა, რომ 22 ოქტომბრის მსხვერპლად შეიქმნენ იუნკერი და კადეტი და განმეორებით აღნიშნა მათი თავ-განწირვა. ამ ორ დეპეშის პასუხად ნამესტნიკს ხელმწიფისაგან შემდეგი დეპეშა მოუვიდა: **„გარდაეცით ტფილისის იუნკრებსა და კადეტებს ჩემი მადლობა. ვაქებ მათ-მიერ ტფილისის ქუჩებში ჩადენილ სამაგალითო საქციელს“.**

✦ როგორც ამბობენ, ამ დღეებში ტაშკენტში **შეიარაღებულ ჯარს მიტინგი გაუმართავს,** სადაც მსჯელობა დაუწყიათ თავიანთ მდგომარეობაზე. მიტინგს 10,000 ჯარის კაცი დასწრებია. მიტინგზე გამოცხადებულა კორპუსის უფროსი და უთქვამს: იარაღი საჭირო არ არის, შეგიძლიანთ უიარაღოდ ითათბიროთო. ჯარისკაცნი დათანხმებულან და უფროსს თოფები კაზარმებში წაუღებინებია, რის შემდეგაც უიარაღო ჯარის კაცებზე კაზაკები მიუსევია და ამოუწყვეტინებია. მოკლულია თურმე 1500 ჯარის კაცი. ჯარი ძალიან აღელვებულა. კორპუსის უფროსს შეშინებია და მატარებლით სხვაგან გაპარვა დაუპირებია, მაგრამ ჯარს შეუპყრია და დაუტუსაღებია.

✦ 21 ნოემბერს განჯის ხოცვა-ჟლეტის შესახებ **თათბირი ჰქონდათ ტფილისის სომხებისა და თათრების წარმომადგენლებს.** კრებამ აირჩია ორი დეპუტატი მაჰმადიანთაგან—ჰუსეინ-ბეკ ედიგაროვი და ჰაჯი-სეიდ ჰასანი და განჯაში გაგზავნა უკვე წასულ სხვა დეპუტატებთან ერთად ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ ღონისძიებათა მისაღებად. კრებას მსჯელობა ჰქონდა აგრეთვე იმის შესახებ, რომ ტფილისში საჭიროა სიფრთხილე, რომ რომელიმე მკვლელობა, პირადი ინტერესებით გამოწვეული, პროვოკატორებმა ხალხს სხვანაირად არ აუხსნან და აქაც სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტა არ მოაწყონ. კრებამ, ხანგრძლივ თათბირის შემდეგ, აირჩია 20 კაცი და დაავალა, ყოველის კერძო მკვლელობის მიზეზები დაწვრილებით გამოიკვლიოს და ხალხს გადასცეს, რათა პროვოკატორებმა სხვანაირად არ აუხსნან.

✦ როგორც გავიგეთ, **ყარსის საზღვარს მოსდგომია ოთხი კორპუსი ოსმალოს შეიარაღებულ ქურთისა.** ამ საქმის გამო გენერალი მალამა, განჯიდან რომ დაბრუნდება, ყარსში წავა.

✦ დღეს, საღამოს 5 ს., **ქალთა მე-2 გიმნაზიის** სადგომში, დანიშნულია **პედაგოგთა კრების გაგრძელება.** კრების საგანია პედაგოგთა კავშირის წესდების განხილვა.

✦ **განჯაში მომხდარ სისხლის ღვრის გამო** ტფილისის ზოგიერთ საშუალო სასწავლებლებში მოწაფეებმა პირველ დეკემბრამდე **სწავლა შესწყვიტეს.**

✦ კვირას, 20 ნოემბერს, საღამოთი, **კრება ჰქონდათ სახალხო კითხვათა გამმართველ საზოგადოების წევრებს.** კრებას პოლიტიკურ ორგანიზაციების წარმომადგენელნი მრავლად დაესწრნენ და ყველამ მოითხოვა გამგეობის ძველი წევრების გადაყენება და ახალ წევრების არჩევა, რომელთაც საზოგადოების დებულება ძირიანად უნდა შესცვალონ. დაუსრულებელი კამათი გამოიწვია იმ საგანმა, რომ ამ დღეს აერჩიათ გამგეობის წევრები, თუ სხვა დროს. სოციალ-დემოკრატები ითხოვდნენ ახლავ არჩევას, ხოლო დანარჩენები ამობდნენ: დღეს რიცხვით სოციალ-დემოკრატები მეტნი ხართ და გადავდოთ სხვა დროისთვის, რომ სხვა ორგანიზაციის წარმომადგენელნიც დაესწრონო. დასასრულ, არჩევნები მაინც მოჰხდა. არჩეულ იქმნენ უმეტესულ ნაწილად სოციალ-დემოკრატები.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტელეგრაფის მოხელეებმა წარუდგინეს რკინის გზის უფროსს თავიანთი მოთხოვნილებანი და აღნიშნეს, რომ ყველა მოთხოვნილებანი უნდა იქმნეს ასრულებული იანვრისთვის, დანარჩენ ორ მოთხოვნილების პუნქტი კი ეხლავე, დაუყოვნებლივ, სანამ ამ ორ პუნქტს არ აასრულებთ, არ გავალთ სამსახურშიო: აი, ეს ორი პუნქტი: 1) ყველა უწინდელ გაფიცულ ტელეგრაფისტის უკან მიღება და დაბრუნება სხვაგან გადაყვანილებისა 2) რკინის გზის ტელეგრაფის ახლანდელი უფროსი გომოლიცკი დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქმნას სამსახურიდან. ამაზე რკინის გზათა უფროსის თანამდებობის აღმასრულებელმა რახმანინმა შემდეგი უპასუხა: დათხოვნილ და სხვაგან გადაყვანილ ტელეგრაფისტების შესახებ მოთხოვნილება გომოლიცკის ისედაც უნდა აესრულებინა 17 ოქტომბრის მანიფესტის ძალით, ხოლო, რაც შეეხება თვითონ გომოლიცკის დათხოვნას, ამის შესახებ სასტიკ გამოძიებას მოვახდენო.

✦ ორშაბათს, 21 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, სომხების **ბაზარში დიდი ალიაქოთი ასტყდა.** გაისმა რევოლვერების სროლა და დამფრთხალი ხალხი უგზო-უკვალოდ დარბოდა. დუქნები და მაღაზიები დაიკეტა. არავინ იცოდა რა ხდებოდა. ზოგი ამბობდა, თათართა და სომეხთა ხოცვა-ჟლეტა გაჩაღდაო, სხვანი ამბობდნენ ჯიბგირები წაიჩხუბნენ და რევოლვერებიც მათ გაისროლესო. ცოტა ხნის შემდეგ გამოირკვა შემდეგი: თათრების ბაზარში ერთ თათრისთვის ვიღაცას წაურთმევია რევოლვერი და მიმალულა. თათარს მიუმართავს გოროდოვისთვის: ვიღაც ქართველმა რევოლვერი წამართვა და მიშველეო. გოროდოვოი ერთს თერძს, იმერელს მივარდა: შენ მოსტაცე თათარს რევოლვერი და ჩქარა მიიტაო. ამ დროს საიდღანაც ექვსჯერ გავარდა რევოლვერი და გოროდოვოი წაიქცა. არავინ იცის, ვინ იყო მსროლელი. დაჭრილი გოროდოვოი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს. ხალხი ნელ-ნელა დამშვიდდა და **მაღაზიებიც** გაიღო.

✦ ორშაბათს, 21 ნოემბერს, განჯიდან 200-დე სომეხი ჩამოვიდა. ამბობენ, განჯაში **ხოცვა-ჟლეტამ იკლო,** სადგური თავისუფალიაო.

✦ 21 ნოემბერს, შესდგა **ტფილისის ქართველ მასწავლებელთა კრება.** კრებამ სასურველად სცნო ქართველ მასწავლებელთა საზოგადოების შედგენა კულტურულ მიზნების განსახორციელებლად. ამისთვის აირჩია ბიურო, რომელმაც უნდა შეიმუშაოს მომავალ საზოგადოების წესდების პროექტი და მოიწვიოს ყველა ქართველ მასწავლებელთა საერთო კრება ამ პროექტის განსახილველად და დასამტკიცებლად. ბიუროს წევრებად აირჩიეს: ბბ. სურგულაძე, ახმეტელაშვილი, ჩიტაძე, მიქაბერიძე და ან. წერეთლისა. ბიუროს მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიიღოს აგრეთვე ჩვენში მომქმედ პარტიების თითო წარმომადგენელმა. ამასთანავე კრებამ აირჩია კომისია, რომელმაც უნდა დაამზადოს მომავალ საზოგადოებისათვის მასალა სასკოლო გეგმისა და პროგრამების შესამუშავებლად და იზრუნოს ზოგიერთ სახელმძღვანელოების შესადგენად. კომისიის წევრებია: ბბ. იაკობ გოგებაშვილი, ი. ლულაძე, პ. სურგულაძე, ჩიტაძე, ლორთქიფანიძე, ხრამელაშვილი, ჭოლოშვილი, ხუციშვილი, ლამბაშიძე, ალ. მირიანაშვილი, იაშვილი და ვ. რცხილაძე. ამ კომისიაშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ პარტიების წარმომადგენლებმა.

✦ კვირას, 20 ნოემბერს, კახეთის გზაზე, ლოჭინს აქეთ, **ყაჩაღები დასცემიან** თელავიდან მომავალ დილიჟანს და მგზავრები გაუძარცვავთ. ყაჩაღებს მოუკლავთ აგრეთვე ერთი ქალი და ღამის წყვდიადში მიმალულან. ამ დღეს სხვა დილიჟნები არ გამოსულა თელავიდან, რადგან დილიჟნებზე მოსამსახურენი გაფიცულან.

✦ ტფილისის რამდენიმე ბანკმა დაადგინა, განუსაზღვრელ კრედიტით დაეხმაროს ფოსტა-ტელეგრაფის **გაფიცულ მოხელეებს.** ბანკირმა ფრიდონოვმა 10.000 მან. სესხება გადასწყვიტა.

✦ ფინანსთა მინისტრმა შიპოვმა აცნობა კავკასიის ნამესტნიკს, რომ ბათუმის ქალაქის თვითმართველობის შუამდგომლობა, მიეცეს სესხად სახელმწიფო ბანკის განყოფილებიდან ქალაქს 120,000 მანათი, **სახელმწიფო ბანკის საბჭოს დადგენილებით,** უყურადღებოდ იქმნა დატოვებულიო.

✦ „კავკაზი“ სწერს: ფოსტა ტელეგრაფის მოხელეთა გაფიცვის გამო, რამაც სახელმწიფოს დიდი ზარალი მიაყენა, სახაზინო პალატამ პეტერბურგიდან ვერ მიიღო ფულიანი დეპეშა და ამიტომ მოხელეთათვის ჯამაგირების დასარიგებლად **ვერც მოსთხოვა ფული** სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ განყოფილებას; ჩვეულებრივად ყოველ თვის 19 რიცხვში სახაზინო პალატას მოსამსახურეთა ჯამაგირებისთვის ბანკიდან გამოაქვს ხოლმე სამ მილიონამდე მანათი. ამგვარ მდგომარეობაშია მაზრის ხაზინებიც.

✦ **დ. ახალ-სენაკი,** გასულ კვირას ხელ-მეორედ გაიფიცნენ ნოქრები და მოითხოვეს: 1) ნოქრებისთვის ცალკე ბინა ხაზეინის ხარჯით, 2) მცირე-წლოვანი მოსამსახურეები განთავისუფლებულ იქმნან სამსახურიდან, 3) ზრდილობიანი მოპყრობა აღებისაგან, 4) ავადმყოფობის დროს ხაზეინის ხარჯით ექიმობა, 5) ავადმყოფობის დროს სამის თვის განმავლობაში ჯამაგირი ეძლიოს, 6) ჯამაგირების მომატება და სხვა, და სხვა. როგორც გადმოგვცემენ, ახალ-სენაკში აპირობენ დაბის დამცველ მილიციის დაარსებას. ამბობენ, რომ კაცებიც უკვე ამოურჩევიათ და ამ მოკლე ხანში იარაღიც დაურიგდებათო და თანამდებობასაც შეუდგებიანო.

✦ 19 ნოემბერს ტფილისში **გაიფიცნენ სომხის ეკლესიების მედავითნეები.**

✦ სასულიერო სემინარიის რექტორს არქიმანდრიტ გრიგოლს ერთმა რუს-მასწავლებელთაგანმა ამბავი მიუტანა, ალექსანდრეს ბაღში [illegible] ყური მოვკარ, რომ ქართველები მოკვლას გიპირობენ და, სემინარიასთან რაღამაც რომ იფეთქა ტრამვაის ლიანდაგზე, ყუმბარა ყოფილა, რომლითაც სემინარიის შენობა და თქვენი სადგომის დანგრევა სდომებიათო. რექტორმა დაიბარა ეკონომი და დაავალა, გამოუცხადე პოლიციას, რომ სემინარიას ყუმბარა ესროლესო. ეკონომმა ეს განკარგულება არ აასრულა, რატომ თქვენ თითონ არ უცხადებთო. რექტორი გაბრაზებულა, ერთ ხანს ეკონომს დათხოვნას უპირობდა თურმე და შემოსავალ გასავლის დავთრები უნდა ჩამოერთმია, მაგრამ მალე გადაიფიქრა. რექტორ გრიგოლს მუდმივი თათბირი აქვს თავის მომხრეებთან იმის გამო, რომ ქართველმა სამღვდელოებამ ბოიკოტი გამოუცხადა.

✦ ამ დღეებში ქუთაისში მიტინგი ჰქონდათ საარტილერიო პოლკის ჯარის კაცებს. მიტინგმა დაადგინა, წარუდგინონ პოლკის უფროსს იგივე მოთხოვნილებანი, რაც წარადგინეს ტფილისის მეცხოვნე ჯარისა და ბათომის საარტილერიო პოლკის ჯარის კაცებმა, და აგრეთვე გამოუცხადონ, თუ ეს მოთხოვნილებანი ერთ კვირაში არ იქნება დაკმაყოფილებული, მაშინ ჩვენ ძალას მივმართავთო.

✦ ამ დღეებში, ნაძალადევში მიტინგი ჰქონდათ ტფილისის მეჩექმეებს. მიტინგმა გადასწყვიტა, მოსთხოვონ ხაზეინებს საერთო გაფიცვის დროს გაცდენილ დღეების ჯამაგირი და აგრეთვე ამოირჩია კომისია, რომელსაც დაევალა მეჩექმეთა მოთხოვნილების შედგენა, რომელიც შემდეგ მიტინგზე უნდა წარმოადგინონ განსახილველად.

✦ ხუთშაბათს, 25 ნოემბერს, სოფ. ატენში (გორის მაზრა), დანიშნულია სახალხო მიტინგი. კვირას, 28 ნოებერს. სოფ. თიღვაში (გორის მაზრა) დანიშნულია მიტინგი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ჯგუფისაგან.

✦ სოფ. ხაშმ. 17 ნოემბერს მთელი სოფელი შესძრა სოფლის ცხოვრებისთვის არა-ჩვეულებრივმა ბოროტმოქმედებამ. ხაშმელი გლეხი იოსებ მასუგრაძე მისმა მეუღლე ნინომ მოსწამლა. სწამლავი შუშამანდში ჩაუსხა: ამ საქმეში მონაწილე ჰყოლოდა მას ალექსი მამუკიშვილის ქვრივი მარიამი. მამასახლისმა ორთავენი დაატუსაღა. სოფლის მანდილოსნები დამნაშავეთა სიკვდილით დასჯას თხოულობდნენ. მაგრამ ამ საქმის გამოძიება და დამნაშავეთა გასამართლება ამ ახლო მომავალში მთელ გარე-კახეთის სოფლის წარმომადგენელთა საერთო კრებაზე მოხდება.

✦ გუშინ, 22 ნოემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე, თამამშევის ქარვასლის წინ ერთს ნოქარს უცაბედად ჯიბეში რევოლვერი გაუვარდა და დაიჭრა მის ახლოს მდგომი ამხანაგი, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს; ტყვია ფეხში აქვს მოხვედრილი და, ექიმების აზრით, საშიში არაა.

✦ ორშაბათს, 21 ნოემბერს, ვერაზე, მიტინგი ჰქონდა მეეზოვეთა ერთ ჯგუფს. მიტინგმა გადასწყვიტა, შეუერთდნენ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას და მუშებთან ერთად ებრძოლონ დღევანდელ რეჟიმს. იქვე მახლობლად სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის, ეგრედ-წოდებულ, „მეუმრავლესეთა“ ფრაქციის მიტინგი იყო, რომელსაც მეეზოვეთა ხსენებულმა ჯგუფმა გამოუცხადა, თუ მაგვიღებთ, ამიერიდან თქვენ შემოგიერთდებითო. სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს.

ქართლის ამბები

მოვედი სადგურ ქსანზე. აქ მითხრეს ნიჩბისის ხეობაში (გორის მაზრა) მოძრაობა დაიწყოო. მაშინათვე იმ სოფლისაკენ გავწიე. მებატონე ციციშვილები მოვიკითხე. თავ. ვასილ ციციშვილი აბარგებულა, წასულა ტფილისში თავისი ცოლ-შვილით. დიდი-მებატონის დავითის შვილები ჩასულან აგრეთვე ტფილისში და ბულვარზე ბოლთასა სცემენ. თავ. გიორგი ოთარის ძე ამილახვარს მიუფუჩეჩებია აქაური დიდი მამული და ფეხი აღარ გადგამს. ამ სოფლის მებატონეთა და გლეხებ შორის საქმე ბოლოს მორიგებით გადაწყდა. ბატონებმა აიღეს მეხუთედი ღალა და შემოსავალი.

სოფ. ქვათის ხევში ბოიკოტი ჰქონდათ გამოცხადებული. გამოუცხადეს თავ. გიორგი დავითის ძეს თარხან-მოურავს, გაბრიელ ბეჟანისძეს სიყვარულიძეს და აზნაურ ცოქალაშვილებს.

დაბა ახალქალაქში სახლები ჩაკეტილი დამხვდა, ქუჩებში სოფლელი ვერავინ შევამჩნიე. შემხვდნენ მხოლოდ კაზაკები, სალდათები და დრაგუნები.

დილაა, სოფელში სიჩუმეა, მხოლოდ სიჩუმეს არღვევს ჯარი. გაისმა რამდენიმე გლეხ-კაცის ხმა: აღამამედ-ხანი მოდის თავის ჯარითაო. სოფელში შემოდიოდნენ გორის მარშალი, მაზრის უფროსი გოგოხია, მომრიგებელი შუამავალი თავადი შალიკაშვილი, რამდენიმე თავადი და სხვა. მარჯვნივ, მარცხნივ და უკანიდან ჯარი მოსდევდათ.

მარშალი ბაგრატიონ-დავითიშვილი საქმეს გულმოდგინედ შეუდგა. გმირულად გამოაჩომა სკამზე, დადგა სტოლი, გადაშალა წიგნები და, на основаніи предписанія и уполномочія, მოახსენა ხალხს: „ხალხო და ჯამაათნო, მე მოვედი, რომ თავადიშვილები და გლეხები მოგარიგოთ.

ერთი გლეხთაგანი:—დიდებულო თავადო, ჩვენ მორიგება არ გვინდა, წინააღმდეგობას არავის ვუწევთ.

მარშალი: გლეხ-კაცობის აზრი და მოქმედება უკვე ვიცი... თავადებო და მემამულენო, ვის რა საჩივარი გაქვთ, მოახსენეთ ამ კომისიას და დარწმუნებული იყავით, თუ თქვენს მოთხოვნილებას ჩვენ ვერ შევასრულეთ, ეს ჯარი ხომ აქ არის!

გიორგი იორამის ძე თარხან-მოურავი:—„მე ვარ ოტსტავნოი ღენერალი, პენცია დავიმსახურე, წელიწადში ორასი თუმანი. ამ პენციის გარდა ახლა სამსახურიც მივიღე, ადღეგრძელოს ღმერთმა რუს ხელმწიფე,—მომრიგებელი შუამავლობა. ამ სამსახურშიც მაძლევენ წელიწადში სამას თუმნამდე. ყველა დავიმორჩილე, ჩემი ნაყმევების გარდა, მოსავალს არ მაძლევენ. დიდებულო ჩვენო გაჭირების ტოლვებო, კომისიავ, აი, გიდგენთ სიას, გლეხებს მართებს ჩემი ექვსასი თუმნის ღალა. მარცვალს არ დავუკლებ, გთხოვთ მთლად გადაახდევინოთ!

მარშალი: დიახ, თავადო, კარგად ესმის კომისიას თავადობის ახლანდელი გაჭირვებული მდგომარეობა, კომისია მოვალეა ამ გაჭირვებიდან ამოგიყვანოთ...

მარშალმა მოისმინა კიდევ რამდენიმე საჩივარი, გაანაწილა თავისი ჯარი და მხლებელნი საჩივრების ასრულებაში მოსაყვანად და გასწია სოფელს ხოვლესაკენ

ამ სოფელში გლეხ-კაცობა რამდენჯერმე მოურიგდა თავადიშვილებს, მაგრამ აგიტატორებმა ყოველი მორიგება ჩაშალეს. ჯარის მოსვლის შემდეგ გლეხებმა მემამულეებს მოსავლის მეხუთედი მისცეს. დოესის გლეხებს დიდი დავიდარაბის შემდეგ მემამულე რ. ერისთავისთვის მიუციათ დღიურზე მხოლოდ ერთი კოდი და თითო ბარდანა ბზე. ამავე ერისთავს ეკუთვნის დიდი სოფელი გარდატენი. გლეხებს გადაწყვეტით უთქვამთ: ბატონო, როცა გნებავთ, მობძანდით, როცა ინებოთ, წაბძანდით, მაგრამ არასოდეს არ მოგცემთო. უცდია, უცდია ამ თავადს და შემდეგ მიუმართავს ადმინისტრაციისთვის.

მოსულა ადმინისტრაცია ჯარით და გლეხებისათვის ვადა მიუცია, მაგრამ ეს ვადა დღემდე გრძელდება. გლეხები ბატონს არაფერს აძლევენ.

გორის სადგურზე ერთი ახალი ამბავი მითხრეს: მაზრის უფროსად დაუნიშნავთ გორში თანაშემწედ ნამყოფი ლეონტიევი. ამ ლეონტიევმა ბევრი „საგმირო“ საქმე ჩაიდინა გორში და მისი იქვე გორში დანიშვნით გორელები ძლიერ აღელვებულნი არიანო.

ს. ქარელსაც სწვევია მარშლის კომისია. გლეხებს შიშით საქმეები მიუფუჩეჩებიათ და ცოტად თუ ბევრად მებატონეებს მორიგებიან. შიში ძნელი ყოფილა. მებატონეები ლიბერალურად მოქცეულან და უთქვამთ: სადაც თქვენ, გლეხნო, ჩვენც იქ ვიქნებითო.

სოფელ გომში ჩემი ყურადღება ერთმა დიდმა შენობამ მიიქცია. „სამეურნეო სინდიკატიაო“—მითხრეს. ამ შენობის ახლო-მახლო მრავალი სავაჭრო დუქნები „распивочно და на выносъ“-ი დავინახე. ერთმა ნაცნობმა ერთ დუქანზე მიმითითა და მითხრა: ეს დუქანი უფრო რიგიანად ვაჭრობს, ვიდრე ეს „ცნობილი სინდიკატიო“.

მარშლის კომისია აქაც ამოსულა კაზაკ-დრაგუნებითურთ. საქმე მორიგებით გათავებულა.

დაბა სურამში ერთი საყურადღებო საქმე არჩეოდა და მეც სასამართლოსაკენ გავწიე. მოსამართლემ გამოაცხადა: „слушается дѣло по иску кн. Іосифа Ревазовича Тарханъ-Моуравова къ крестьянину Тедо Размадзе объ убыткахъ“ გამოვიდა მოხდენილი, ხანში შესული, ევროპიულად ჩაცმული ხსენებული თავადი და მასვე უკან ზლაზვნით მოჰყვა გლეხი თედო რაზმაძე.

მოსამართლე (რაზმაძეს): თედო, ეს თავადი გიჩივის, რომ სულ გაგიანადგურებიათ, სახლიდან აგიგდიათ, სახლში აღარ უშვებთ, მაგისი ბიჭები გაგირეკნიათ, ღალა და მოსავალი არ დაგინებებიათ. გონზედ მოდით, თორემ ეს თავადი სასამართლოს განკარგულებით ყველაფერს გადაგახდევინებთ.

თედო რაზმაძე: განა ამ თავადს სამართალი აქვს? აბა, გაიხედეთ, რა მშვენიერი ამინდია. ახლა ჩემს სოფელში, კოდაში, გახურებული მუშაობაა—დიდი და პატარა სიმინდს არჩევს, მოსავალს აბინავებს, რომელიც ცხვირ წინ არის. აბა ეხლა, მე აქ რა მინდა, როცა სახლში ამდენი საქმეა გასაკეთებელი? ბ-ნო სუდია, უმორჩილესად გთხოვთ ჩვენ, გლეხ-კაცობას, ნუ გვცდენ, უწყებებს ნუ გვიგზავნით და მაგითი ნუ გვაწიოკებთ. მაგ საქმის ჯავრი მე სრულებითაც არა მაქვს, როგორც გნებავთ ისე გაარჩიეთო!!—სთქვა ეს თედო რაზმაძემ, გამოვიდა სასამართლოს დარბაზიდან და თავის სახლისკენ გასწია.

დიდის ამბით ელოდა საამირაჯიბო და საფალავანდო მარშლის კომისიას. აქ დრაგუნ-კაზაკების შტატი გაადიდეს და ეს კომისია ასე მობძანდა. რასაკვირველია მორიგება დატრიალდა. მემამულეებს გლეხს დღიურ მიწაზე გადაახდევინეს ოროლი კოდი ხორბალი, ზოგსაც მეტი. მებატონეები კმაყოფილები დარჩნენ.

სოფელ დიდეთში ცხოვრობს თავადი სოლომონ ციციშვილი. აქ მითხრეს, ამ თავადს თავისს დღეში ამოდენა ღალა არ აუღია, როგორც წელსაო. დღიურზე ერთი-ორად გადაახდევინა კომისიის შემწეობითაო. სამართალიც ასეთი უნდა!

ერგნელი.

და მეტსაც. ისიც გვითხარით, მაგისთანა მუშაობას მოურავი და ნოქრებიც ესწრობიან, თუ არა?

— საკუთარის გაუფთხილებლობით... დაუფიქრებლად წამოიძახა მიტრო კოზიავკინმა.

— მოითმინეთ, კოზიავკინ. მე მაგას არ გეკითხებით. მართალია, ნამდვილია,—სცდილობს თავმჯდომარე გააგებინოს მოწმეს,—მართალია, რომ მარილს ძირს უთხრით და ამით საქმეს იადვილებთ? მარილი რომ ჩამოწვება, თავის-თავად იფხვნება? მართალია?

— რაო?

— გაიგეთ, რასაც გეკითხებით?

— არა, მართალი არ არის... ძლივს ამბობს მიტრი რაღაც მოსაზრებით.

— მიტრი, შენ თითონ არ უამბე ბატონ კორესპონდენტს, როგორ დააწვა პროშკას მარილი?.. ტირილით ეუბნება ქვრივი.

მიტრი თვალსა ბრეცამს და ხმას არ იღებს.

კორესპონდენტს სახეზე ძარღვები დაებერა. სიბრალულითა და ზიზღით შეჰყურებს მოწმეს, უნდა რამე სთქვას და იქვე გაამტყუნოს, მაგრამ ენა არ ემორჩილება.

— აბა, გაგვაგებინეთ, კოზიავკინ, როგორ მოხდა, რომ პორფირ ტერიავკინს მარილის ზვავი დააწვა. ტერიავკინს ჯურღმულში რა უნდოდა?

— საკუთარ გაუფთხილებლობით!.. უპასუხა მიტრიმ, თუმცა კარგა გაიგო, რასაც თავმჯდომარე ეკითხებოდა.

მეორე მოწმე, ახალგაზდა ყმა-ჭაბუკი სულ თვალს ახამხამებდა და თავს აქეთ-იქით ატრიალებდა, ეტყობოდა, რომ ეს გარემოება ეუცხოვება და რიღასიც ეშინიან.

— ოკუნევ! გვიამბეთ, როგორ მოხდა ის უბედურება.

— გაუფთხილებელ საკუთრებით!.. ბავშვურის ხმით უპასუხა ჭაბუკმა.

— გაიგეთ, რას გეკითხებით?—ეუბნება გაბეზრებული თავმჯდომარე და კითხვას იმეორებს.

ჭაბუკი გაჩუმებულა, ყოყმანობს და აქეთ-იქით იხედება, თითქო ვიღასაც დახმარებასა სთხოვსო.

— გვითხარით და,—ცხარობს თავმჯდომარე,—მართალია, რომ მარილის გორას ძირს უთხრით?

— მართალია!.. კანკალით ამბობს ჭაბუკი და ხმა ერთბაშად უწყდება.—არა, არა, მართალი არ არის... ჩვენ ძირს არ ვუთხრით. ისე ვჭრით, როგორც უნდა.

სხვა მოწმეებიც ამას ამბობენ.

— ბრალდებულო, ხომ არა გაქვთ-რა სათქმელი?

სახე-შეშლილი ბრალდებული წარმოდგა, რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ უიმედოდ ხელი გაიქნია და ულონოდ სკამზევე დაეშვა.

მსაჯულნი გავიდნენ სათათბიროდ და ათი წუთის შემდეგ გამამტყუნებელი განაჩენი გამოაცხადეს.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, თითქო სასამართლოს დარბაზში ყველას სული უგუბდებაო. ყველა თავზარდაცემულია. მოწმეები—მუშები განცვიფრებითა და სიბრალულით შეჰყურებენ ბრალდებულს. ქვრივსაც კი კრიჭა შეეკრა. ის მსაჯულებს მისჩერებია და რაღასაც გამოელის...

სიჩუმე ჟანდარმმა დაარღვია, რომელმაც დამნაშავე გაიყვანა. სასამართლოდან გამოსული მუშები ჯგუფ-ჯგუფად დაიყვნენ.

თითქო გაეხარდათ, რომ სასამართლოს თავი დააღწიეს, და ახლა ერთბაშად ახმაურდნენ.

— წამო, პანტელეი, მონოპოლკაში გადავკრათ!—ეუბნება ერთი ცხვირ-დასიებული მუშა მეორეს.

პანტელეი გაჩუმებულია. სახე ემუქნება, ეტყობა, რაღაც აზრი უტრიალებს და ვერ გამოუთქვას.

— სამწუხაროა, ძმაო! საბრალოა სკოროპოდენტი! ტყუილად დასაჯეს...

რა ყოჩაღია ჩვენი მოურავი!—ამბობს ცხვირ-დასიებული და თან რაღაც აგონდება.—მანამ ინჟენერი მოვიდოდა, ყველაფერი მიასწორ-მოასწორა. მთელი ღამე გვამუშავა. თქვენ, ეშმაკებო, ერთი რამ დაიჭდიეთ ცხვირზე: „საკუთარ გაუფთხილებლობით მოჰყვა პროშკა ზვავის ქვეშ-თქო“. საკუთარ გაუფთხილებლობით—გესმით? აბა ერთ-ერთმა თქვენგანმა გაბედოს და მეტი სიტყვა წამოსცდეს—ყველა ეშმაკებს გაგყრით, სამრეწველოს ეღარ მიგაკარებთ!“

— წამო, კაცო, თითო გადავკრათ!..

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის ქ., № 5.